

ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან შესაბამისობის ცხრილი

ევროკავშირის სამართლებრივი აქტი 2012 წლის 25 ოქტომბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2012/30/EU დირექტივა „გარანტიების კოორდინაციის შესახებ, რომლებიც წევრებისა და სხვების ინტერესების დასაცავად მოთხოვნიერ კომპანიებს წევრი სახელმწიფოებისგან, ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 54-ე მუხლის მეორე პუნქტის მნიშვნელობის ფარგლებში, შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანიის ფორმირებასა და მისი კაპიტალის ცვლილებასთან მიმართებით, აღნიშნული გარანტიების ეკვივალენტურად გახდის მიზნით“ შეცვლილი რედაქციით¹		საქართველოს ნორმატიული აქტის / აქტების პროექტი / პროექტები და შესაბამისი მოქმედი ნორმატიული აქტი / აქტები , არსებობის შემთხვევაში: №1. საქართველოს კანონის პროექტი „მეწარმეთა შესახებ“; №2. საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“. შესაბამისობა: სშ – სრულად შესაბამისი ნშ – ნაწილობრივ შესაბამისი შ – შეუსაბამო ას – არასავალდებულო				
1	2	3	4	5	6	7
მუხლი ან ნაწილი	ნორმის ტექსტი	№	მუხლი ან პუნქტი (ნაწილი)	ნორმის ტექსტი	შესაბამისობა	შენიშვნები
1	1. წინამდებარე დირექტივით დადგენილი საკოორდინაციო ზომები ვრცელდება წევრ სახელმწიფოებში კანონით, რეგულაციით ან ადმინისტრაციული ქმედებით გათვალისწინებულ დებულებებზე, რომლებიც დაკავშირებულია დანართ I-ში ჩამოთვლილი კომპანიების ტიპებთან. დანართ I-ში ჩამოთვლილი ნებისმიერი ტიპის კომპანიის სახელი უნდა შეიცავდეს ან თან ახლდეს აღწერა, რომელიც განსხვავდება ნებისმიერი სხვა ტიპის კომპანიებისთვის მოთხოვნილ აღწერილობიდან. 2. წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება გადაწყვიტონ, არ გამოიყენონ წინამდებარე დირექტივა ცვალებადი კაპიტალის მქონე საინვესტიციო კომპანიებთან და იმ კოოპერატივებთან	№1	1	1. ეს კანონი განსაზღვრავს სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებაზე უფლებამოსილების მქონე იურიდიული პირის დაფუძნების პროცედურებს, არსებობის ფორმებსა და მათი არსებობის პროცესში ამავე სუბიექტის ორგანიზაციულ-სამართლებრივ საკითხებს. 2. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების, კომანდიტური საზოგადოების, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისა და კოოპერატივის წესდებით ან პარტნიორთა სხვაგვარი შეთანხმებით შეიძლება განისაზღვროს ამ	ნშ	დირექტივის მოქმედება ვრცელდება შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანიებზე. ასეთი ტიპის კომპანიას საქართველოში წარმოადგენს სააქციო საზოგადოება (შემდგომში - „სს“). შესაბამისად, დირექტივის დებულებების შესრულება უზრუნველყოფილია სს-ის მიმართ შესაბამისი მოთხოვნების დადგენით.

¹ ასოცირების შესახებ შეთანხმების XXVIII დანართით გვევალება 77/91/EEC დირექტივის შესრულება, თუმცა ცხრილის შედგენისას გამოყენებულია 2012/30/EU დირექტივა (კონსოლიდირებული ვერსია 02/07/2014-ის მდგომარეობით), რომელიც აღქმებს მას. აღსანიშნავია, რომ არ იცვლება ძველი დირექტივის შინაარსი, ამიტომ არ წარმოიშობა რაიმე პრობლემა დინამიური დაახლოების ჭრილში. თავის მხრივ, 2012/30/EU დირექტივა გაუქმებულია EU 2017/1132 დირექტივით, თუმცა არც ამ შემთხვევაში იცვლება მისი შინაარსი.

	მიმართებით, რომლებიც დაფუძნებული არიან დანართ I-ში ჩამოთვლილი კომპანიის ერთ-ერთი ფორმით. თუ წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობა იყენებს ამგვარ დისკრეციას, მათ ასეთ კომპანიებს უნდა მოსთხოვონ, რომ 2009/101/EC დირექტივის მე-5 მუხლში დასახელებულ ყველა დოკუმენტში მოუთხოვონ ტერმინი „საინვესტიციო კომპანია ცვალებადი კაპიტალით“ ან „კოოპერატივი.“ ტერმინი „საინვესტიციო კომპანია ცვალებადი კაპიტალით“, წინამდებარე დირექტივის მიზნებისთვის, გულისხმობს მოლოდინ კომპანიებს: - რომელთა ერთადერთი მიზანია, თავიანთი ფულადი სახსრები დააბანდონ სხვადასხვა წილებსა და აქციებში, მიწის ნაკვეთში ან სხვა აქტივებში ერთადერთი მიზნით, რომ გავრცელდეს საინვესტიციო რისკები და თავიანთ აქციონერებს მიეცეთ ქონების განკარგვის შედეგებით სარგებლობის საშუალება, - რომლებიც საზოგადოებას თავიანთ აქციების გამოწერას სთავაზობს, და - რომელთა წესდებებით გათვალისწინებულია, რომ მინიმალური და მაქსიმალური კაპიტალის ფარგლებში, ნებისმიერ დროს შეეძლოთ გამოუმშვან, გამოსყიდონ და ხელახლა გაყიდონ აქციები.			კანონისაგან განსხვავებული წესები, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ნორმა სავალდებულოდ შესასრულებელია, მათ შორის, როცა ნორმა უშუალოდ უკავშირდება მესამე პირის ინტერესის დაცვას. 3. სამეწარმეო საზოგადოების წესდებით (შემდგომ - წესდება) ასევე შეიძლება მოწესრიგდეს საკითხები, რომლებიც არ არის მოწესრიგებული ამ კანონით, ან განიცდოს ამ კანონის ის ნორმები, რომლებიც ამომწურავად არ აწესრიგებს მოცემულ საკითხს. 4. სააქციო საზოგადოების წესდებით ან აქციონერთა შეთანხმებით შეიძლება განისაზღვროს ამ კანონისგან განსხვავებული წესები მხოლოდ კანონით დაშვებულ შემთხვევებსა და ფარგლებში. 5. ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ერთობლივ საინვესტიციო ფონდებზე.		
2.(a)	კომპანიის წესდება და სადამფუძნებლო დოკუმენტაცია ყოველთვის უნდა იძლეოდეს მინიმუმ შემდეგ ინფორმაციას: (a) კომპანიის ტიპი და სახელწოდება;	№1	7.1. „ა“	ყველა სამართლებრივი ფორმის სამეწარმეო საზოგადოების წესდება უნდა შეიცავდეს, სულ მცირე, შემდეგ მონაცემებს: ა) სამეწარმეო საზოგადოების სამართლებრივ ფორმას;	სშ	
		№1	6.2. „ა“	ყველა სამართლებრივი ფორმის სამეწარმეო საზოგადოების სადამფუძნებლო შეთანხმება, წესდებასთან ერთად, უნდა შეიცავდეს: ა) სამეწარმეოს საზოგადოების საფირმო სახელწოდებას;		
2.(b)	კომპანიის მიზნები;	№1	7.1. „ბ“	ყველა სამართლებრივი ფორმის სამეწარმეო საზოგადოების წესდება უნდა შეიცავდეს, სულ მცირე, შემდეგ მონაცემებს:	სშ	

				ბ) სამეწარმეო საზოგადოების საქმიანობის საგანს. საქმიანობის საგნად შეიძლება მიეთითოს, როგორც ზოგადი სამეწარმეო საქმიანობა, ისე კონკრეტული საქმიანობის საგანი;		
2. (c)	ნებადართული კაპიტალის არარსებობის შემთხვევაში, განთავსებული კაპიტალის ოდენობა;	№1	6.6. „ა“	სააქციო საზოგადოების სადამფუძნებლო შეთანხმება დამატებით უნდა შეიცავდეს: ა) რეგისტრაციის მომენტისთვის განთავსებული კაპიტალის ოდენობას;	სშ	
2. (d)	ნებადართული კაპიტალის არსებობის შემთხვევაში, მისი ოდენობა და ასევე განთავსებული კაპიტალის ოდენობა კომპანიის დაფუძნების ან საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების დროისათვის და ნებადართულ კაპიტალში ნებისმიერი ცვლილების შეტანის დროისათვის, 2009/101/EC დირექტივის მე-2 მუხლის (e) პუნქტის შეუზღუდავად;	№1	6.6. „ა“ და „ბ“	სააქციო საზოგადოების სადამფუძნებლო შეთანხმება დამატებით უნდა შეიცავდეს: ა) რეგისტრაციის მომენტისთვის განთავსებული კაპიტალის ოდენობას; ბ) კაპიტალის მაქსიმალურ ოდენობას, რომლის ფარგლებშიც სამეწარმეო საზოგადოებას შეუძლია მომავალში მიიღოს აქციების განთავსების გადაწყვეტილება (ნებადართული კაპიტალი) და, ასეთის არსებობის შემთხვევაში, აქციების ნომინალურ ღირებულებას;	სშ	
		№1	13.1	სადამფუძნებლო შეთანხმების, მათ შორის წესდების ამ კანონის მე-6 და მე-7 მუხლებით გათვალისწინებული მონაცემების ცვლილება უნდა დარეგისტრირდეს რეესტრში.		
2. (e)	რამდენადაც კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული, წესები, რომლებიც არეგულირებს იმ ორგანოების წევრების რაოდენობასა და დანიშვნის პროცედურებს, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან კომპანიის წარმომადგენლობაზე მესამე პირებთან მიმართებით, კომპანიის ადმინისტრირება, მართვა, ზედამხედველობა ან კონტროლი და აღნიშნულ ორგანოებს შორის უფლებამოსილებათა გადანაწილება;	№1	6.2. „ზ“	ყველა სამართლებრივი ფორმის სამეწარმეო საზოგადოების სადამფუძნებლო შეთანხმება, წესდებთან ერთად, უნდა შეიცავდეს: ზ) სამეწარმეო საზოგადოების ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის, აგრეთვე, არსებობის შემთხვევაში, სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა რაოდენობასა და მათი დანიშვნისა და გათავისუფლების წესს, თუკი ეს ამ კანონისგან განსხვავებულად არის	სშ	

				მოწესრიგებული, ასევე, წევრთა უფლებამოსილებას;		
2. (f)	კომპანიის არსებობის ხანგრძლივობა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს განუსაზღვრელია.				ას	საქართველოში კომპანიის არსებობის ხანგრძლივობის ვადა დაწესებული არ არის და ის განუსაზღვრელია.
3.(a)	წესდებები, სადამფუძნებლო ან ცალკეული დოკუმენტები, რომლებიც გამოქვეყნებულია თითოეული წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, 2009/101/EC დირექტივის მე-3 მუხლის შესაბამისად, უნდა მოიცავდეს მინიმუმ შემდეგ ინფორმაციას: (ა) იურიდიული მისამართი;	№1	6.2. „ბ“	ყველა სამართლებრივი ფორმის სამეწარმეო საზოგადოების სადამფუძნებლო შეთანხმება, წესდებასთან ერთად, უნდა შეიცავდეს: ბ) სამეწარმეო საზოგადოების იურიდიულ მისამართს;	სშ	
		№1	6.10	იურიდიული მისამართი არის მეწარმის ფაქტობრივი მისამართი საქართველოს ტერიტორიაზე.		
3.(b)	განთავსებული აქციების ნომინალური ღირებულება და, მინიმუმ წელიწადში ერთხელ, მათი რაოდენობა;	№1	6.6. „გ“	სააქციო საზოგადოების სადამფუძნებლო შეთანხმება დამატებით უნდა შეიცავდეს: გ) დაფუძნების მომენტისთვის განთავსებული აქციების ნომინალურ ღირებულებას, ასეთის არსებობის შემთხვევაში, და მათ ოდენობას, ხოლო ნომინალური ღირებულების გარეშე განთავსებული აქციების შემთხვევაში - მათ ოდენობას;	სშ	
		№1	14.5. „ბ“	ამ კანონით გათვალისწინებული სხვა შემთხვევების გარდა, გამოქვეყნებას ექვემდებარება: ბ) სულ მხირე წელიწადში ერთხელ, სააქციო საზოგადოებაში განთავსებული კაპიტალის მოცულობა, თუ ეს მონაცემები რეესტრში რეგისტრირებულია.		

3.(c)	ნომინალური ღირებულების გარეშე განთავსებული აქციების რაოდენობა, სადაც ასეთი აქციების გამოშვება ეროვნული კანონმდებლობით დასაშვებია;	№1	6.6.(გ)	სააქციო საზოგადოების სადამფუძნებლო შეთანხმება დამატებით უნდა შეიცავდეს: გ) დაფუძნების მომენტისთვის განთავსებული აქციების ნომინალურ ღირებულებას, ასეთის არსებობის შემთხვევაში, და ოდენობას, ხოლო ნომინალური ღირებულების გარეშე განთავსებული აქციების შემთხვევაში - მათ ოდენობას;	სშ	
		№1	14.5.(ბ)	ამ კანონით გათვალისწინებული სხვა შემთხვევების გარდა, გამოქვეყნებას ექვემდებარება: ბ) სულ მხირე წელიწადში ერთხელ, სააქციო საზოგადოებაში განთავსებული კაპიტალის მოცულობა, თუ ეს მონაცემები რეესტრში რეგისტრირებულია.		
3.(d)	სპეციალური პირობები, ასეთის არსებობის შემთხვევაში, რომლებიც ზღუდავს აქციების გასხვისებას;	№1	6.6. „დ“	სააქციო საზოგადოების სადამფუძნებლო შეთანხმება დამატებით უნდა შეიცავდეს: დ) სპეციალურ პირობას, რომელიც ზღუდავს აქციის გასხვისებას, ასეთის შეზღუდვის არსებობის შემთხვევაში;	სშ	
3.(e)	აქციების რამდენიმე კლასის არსებობის შემთხვევაში, (b), (c) და (d) პუნქტებში მითითებული ინფორმაცია თითოეული კლასისთვის და თითოეული კლასის აქციებზე მიკუთვნებული უფლებები;	№1	6.6. „ე“	სააქციო საზოგადოების სადამფუძნებლო შეთანხმება დამატებით უნდა შეიცავდეს: ე) ამ პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ინფორმაციას თითოეული კლასის აქციასთან მიმართებით;	სშ	
3.(f)	რეგისტრირებული ან საწარმდგენლო აქციები, სადაც ეროვნული კანონმდებლობა ითვალისწინებს ორივე ტიპის აქციას, და ნებისმიერი სხვა დებულება, რაც უკავშირდება აღნიშნული აქციების კონვერსიას, თუ ეს პროცედურა კანონით დადგენილი არ არის;				ას	საქართველოში არ არის დაშვებული არარეგისტრირებული აქციები.

3.(g)	განთავსებული კაპიტალის ოდენობა, რომლის განაღდებაც ხდება კომპანიის დაფუძნების მომენტისთვის ან საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭებისას;	№1	6.6.„ვ“	სააქციო საზოგადოების სადამფუძნებლო შეთანხმება დამატებით უნდა შეიცავდეს: ვ) მითითებას სააქციო საზოგადოების დაფუძნების მომენტისათვის განთავსებული კაპიტალის განაღდებული ნაწილის (განაღდებული კაპიტალი) ოდენობის შესახებ;	სშ	
3.(h)	აქციების ნომინალური ღირებულება ან, ნომინალური ღირებულების არარსებობის შემთხვევაში, იმ აქციათა რაოდენობა რომელთა გამოშვებაც მოხდა არაფულადი შენატანის საწევლოდ, არაფულადი შენატანის სახე და მისი განმახორციელებლის ვინაობა;	№1	6.6. „ზ“	სააქციო საზოგადოების სადამფუძნებლო შეთანხმება დამატებით უნდა შეიცავდეს: ზ) არაფულადი შენატანის საწევლოდ გამოშვებული აქციების ნომინალური ღირებულება, ხოლო, ნომინალური ღირებულების გარეშე გამოშვებული აქციების შემთხვევაში მათ რაოდენობას, შენატანის სახესა და შენატანზე ვალდებული პირის სახელს/სახელწოდებას;	სშ	
3.(i)	ფიზიკური ან იურიდიული პირების, ან კომპანიების, ან ფირმების მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია, რომელთა მიერ ან, რომელთა სახელითაც ეწერება ხელი წესდებებს ან სადამფუძნებლო დოკუმენტებს, ან, იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანიის დაფუძნების დრო განსხვავდება აღნიშნული დოკუმენტების პროექტების პროექტების ხელმოწერის დროისგან;	№1	6.2. „გ“	ყველა სამართლებრივი ფორმის სამეწარმეო საზოგადოების სადამფუძნებლო შეთანხმება, წესდებასთან ერთად, უნდა შეიცავდეს: გ) ყოველი პარტნიორის/დამფუძნებლის საიდენტიფიკაციო მონაცემებს - სახელს, გვარს, საცხოვრებელი ადგილის მისამართს და პირად ნომერს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ პარტნიორი იურიდიული პირია - მის საფირმო სახელწოდებას, იურიდიულ მისამართს და საიდენტიფიკაციო ნომერს;	სშ	
3.(j)	ყველა იმ ხარჯის ჯამური ან მინიმუმ სავარაუდო ოდენობა, რომელიც უნდა გადაიხადოს კომპანიამ ან, რომელიც ეკისრება მას მისი დაფუძნებიდან გამომდინარე და, საჭიროების შემთხვევაში, კომპანიისთვის საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭებამდე; ასევე,	№1	6.6. „თ“	სააქციო საზოგადოების სადამფუძნებლო შეთანხმება დამატებით უნდა შეიცავდეს: თ) დაფუძნებასთან, აგრეთვე ლიცენზიის/ნებართვის მოპოვებასთან დაკავშირებულ იმ არსებულ ან სავარაუდო ხარჯებს, რომლებიც უნდა გაიღოს სააქციო საზოგადოებამ;	სშ	
3.(k)	კომპანიის დაფუძნების დროისთვის ან კომპანიის საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილების მოპოვებამდე მინიჭებული ნებისმიერი სპეციალური უპირატესობა, რომელიც ეძლევა პირს, ვინც მონაწილეობა	№1	6.6. „ი“	სააქციო საზოგადოების სადამფუძნებლო შეთანხმება დამატებით უნდა შეიცავდეს: ი) დაფუძნების, აგრეთვე	სშ	

	მიიღო	კომპანიის	დაფუძნებაში	ან	საქმიანობის			ლიცენზიის/ნებართვის მოპოვებასთან		
--	-------	-----------	-------------	----	-------------	--	--	----------------------------------	--	--

	განხორციელების უფლებამოსილების მოპოვებასთან დაკავშირებულ ტრანზაქციების პროცესში.			დაკავშირებული მოქმედებების განხორციელებაში პროცესში მონაწილე პირთა მიერ სააქციო საზოგადოებისგან მიღებულ ან მისაღებ ეკონომიკურ სარგებელს;		
4	1. თუ წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია, რომ კომპანია ვერ დაიწყებს საქმიანობას შესაბამისი საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების გარეშე, მაშინ, ის ასევე უნდა აყალიბებდეს პასუხისმგებლობის დამდგენ დებულებებს კომპანიის მიერ ან მისი სახელით ნაკისრ ვალდებულებებზე საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭებამდე ან მინიჭებაზე უარის თქმის პერიოდში. 2. 1-ლი პუნქტი არ ვრცელდება იმ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებზე, რომლებსაც კომპანია აფორმებს პირობითად, მისთვის საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭებისთანავე.	№1	11	1. სამეწარმეო საზოგადოების რეგისტრაციამდე მისი სახელით ნაკისრ ვალდებულებებზე, უშუალოდ და შეუზღუდავად, როგორც სოლიდარული მოვალეები, პასუხს აგებენ სამეწარმეო საზოგადოების დამფუძნებელი პარტნიორები და იმ მოქმედების შემსრულებლები, რომელმაც გამოიწვია ვალდებულების წარმოშობა, თუ კრედიტორთან სხვა რამ არ არის შეთანხმებული. 2. სამეწარმეო საზოგადოების სახელით მის რეგისტრაციამდე მოპოვებული უფლებები და ნაკისრი ვალდებულებები სამეწარმეო საზოგადოების მიერ მოწონების შემთხვევაში იქცევა სამეწარმეო საზოგადოების უფლებებად და ვალდებულებებად. ასეთ შემთხვევაში, სამეწარმეო საზოგადოების დამფუძნებელი პარტნიორები და იმ მოქმედების შემსრულებლები, რომელმაც გამოიწვია უფლებების ან/და ვალდებულების წარმოშობა, თავისუფლდებიან ვალდებულებისგან, თუ კრედიტორთან სხვა რამ არ არის შეთანხმებული.	სშ	
5	1. თუ წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობა მოითხოვს, რომ კომპანია დააფუძნოს ერთზე მეტმა წევრმა, იმ ფაქტმა, რომ ყველა აქცია ერთი პირის მფლობელობაშია ან იმ ფაქტმა, რომ კომპანიის დაფუძნების შემდგომ მის წევრთა რიცხვი ეცემა კანონით განსაზღვრულ მინიმალური რაოდენობაზე ქვევით, ამან კომპანიის ავტომატური დაშლა არ უნდა გამოიწვიოს. 2. თუ, 1-ელ პუნქტში ჩამოთვლილ შემთხვევებში, წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობით დასაშვებია, რომ კომპანიის საქმიანობის შეწყვეტა მოხდეს სასამართლოს განკარგულების საფუძველზე, იურისდიქციის მქონე სასამართლოს უნდა შეეძლოს, კომპანიას განუსაზღვროს გონივრული ვადა ამ სიტუაციის დასარეგულირებლად.				ას	კანონპროექტით, ისევე როგორც მოქმედი კანონმდებლობით, დაშვებულია ერთწევრიანი სს-ების არსებობა.

	3. მე-2 პუნქტით განსაზღვრული საქმიანობის შეწყვეტის განკარგულების გაცემის შემთხვევაში, კომპანია იწყებს ლიკვიდაციას.					
6.1	1. წვერი სახელმწიფოების კანონმდებლობა კომპანიის დასაფუძნებლად ან საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილების მისანიჭებლად მოითხოვს, რომ განთავსებული კაპიტალის მინიმალური ოდენობა შეადგენდეს სულ მცირე 25 000 ევროს.	№1	158.1	სააქციო საზოგადოების განთავსებული კაპიტალის მინიმალური ოდენობა სააქციო საზოგადოების რეგისტრაციის მომენტისთვის უნდა შეადგენდეს სულ მცირე 100 000 ლარს.	სშ	
6.2	2. ყოველ ხუთ წელიწადში ევროპარლამენტი და საბჭო, რომლებიც მოქმედებენ კომისიის წინადადების საფუძველზე, ხელშეკრულების 50(1) და (2)(გ) მუხლების თანახმად, ამოწმებენ და, საჭიროების შემთხვევაში, გადახედავენ 1-ელ პუნქტში ევროში დადგენილი თანხის ოდენობას, ევროკავშირში ეკონომიკური და სავალუტო ტენდენციების ან იმ ტენდენციის გათვალისწინებით, რომელიც მხოლოდ დიდ და საშუალო ზომის საწარმოებს აძლევს შესაძლებლობას, აირჩიონ დანართ I-ში ჩამოთვლილი კომპანიის ტიპებიდან ერთ-ერთი.				ას	მოცემული დებულება მიემართება ევროკავშირის ინსტიტუტების კომპეტენციას, იმოქმედონ ხელშეკრულებით დაგენილი პროცედურის მიხედვით. ამდენად, აღნიშნული საქართველოსთვის, როგორც მესამე სახელმწიფოსთვის, არარელევანტურია.
7	განთავსებულ კაპიტალში შენატანის განხორციელება ხდება მხოლოდ იმ აქტივებით, რომლებიც ექვემდებარება ეკონომიკურ შეფასებას. თუმცა, სამუშაოს შესრულება ან მომსახურების გაწევა არ შეიძლება იყოს აღნიშნული აქტივების საგანი.	№1	154 (1 და 2)	1. სამუშაოს შესრულება ან მომსახურების გაწევა არ შეიძლება იყოს სააქციო საზოგადოებაში არაფულადი შენატანის საგანი. 2. შენატანის განხორციელების წესი და ვადა განისაზღვრება კანონითა ან/და სამეწარმეო საზოგადოების წესდებით. თუ ამგვარი ვადა განსაზღვრული არ არის, შენატანი აქციონერის მიერ უნდა განხორციელდეს სააქციო საზოგადოების მოთხოვნიდან გონივრულ ვადაში.	სშ	
8	დაუშვებელია აქციების გამოშვება მათ ნომინალურ ღირებულებაზე დაბალი ან, ნომინალური ღირებულების გარეშე აქციის შემთხვევაში, აქციის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებ ფასად.	№1	156.1	სამეწარმეო საზოგადოების წესდებით შეიძლება განისაზღვროს ის ღირებულება, რომელზე ნაკლები ღირებულებითაც დაუშვებელია მოცემული კლასის აქციის გამოშვება (აქციის ნომინალური ღირებულება).	სშ	
		№1	157.2	ნომინალური ღირებულების გარეშე აქციის გამოშვების ღირებულება დგინდება მისი წილით განთავსებულ კაპიტალში.		
	თუმცა, წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება დაუშვან, რომ მათ, ვინც განთავსებენ აქციებს თავიანთი პროფესიული მოვალეობების შესრულებისას, გადაიხადონ ამ ტრანზაქციის პერიოდში მათ მიერ განთავსებული აქციების მთლიან ღირებულებაზე ნაკლები.				ას	აღნიშნული დებულება არ წარმოადგენს იმპერატიულ მოთხოვნას თავად ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვისაც და არის შესასრულებლად არასავალდებულო ხასიათის. ამდენად, მისი

						გათვალისწინება საქართველოსთვის არ წარმოადგენს სავალდებულო მოთხოვნას.
9	შენატანი განხორციელებული უნდა იყოს კომპანიის დაფუძნების ან საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების მომენტისთვის გამოშვებული აქციების ნომინალური ღირებულების, ან ნომინალური ღირებულებების არარსებობის შემთხვევაში, აქციის საბალანსო ღირებულების - სულ მცირე 25%-ის ოდენობით.	№1	154.4	სააქციო საზოგადოების რეგისტრაციის ან კაპიტალის გაზრდის მომენტისთვის, აქციონერის მიერ ფულადი შენატანი განხორციელებული უნდა იყოს შესაბამისი გამოშვებული აქციის ნომინალური ღირებულების სულ მცირე 25 პროცენტის, ხოლო ნომინალური ღირებულების არარსებობის შემთხვევაში ამ კანონის 158-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი ღირებულების სულ მცირე 25 პროცენტის ოდენობით.	სშ	
	თუმცა, როცა აქციების გამოშვება ხდება არაფულადი შენატანის განხორციელების სანაცვლოდ, შენატანი უნდა განხორციელდეს კომპანიის დაფუძნების ან საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების მომენტიდან ხუთი წლის ვადაში.	№1	154.3	თუ წესდებით უფრო ნაკლები ვადა არ არის გათვალისწინებული, სააქციო საზოგადოების დაფუძნებისას ან კაპიტალის გაზრდისას, შენატანი აქციონერის მიერ უნდა განხორციელდეს სააქციო საზოგადოების რეგისტრაციის ან კაპიტალის გაზრდის მომენტიდან 5 წლის ვადაში.	სშ	
10.1	კომპანიის დაფუძნების ან საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭებამდე, არაფულად შენატანთან დაკავშირებით უნდა შედგეს ანგარიში ადმინისტრაციული ან სასამართლო ორგანოს მიერ დანიშნული ან დადასტურებული ერთი ან მეტი დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ. ასეთი ექსპერტები შეიძლება იყვნენ როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები და კომპანიები ან ფირმები, თითოეული წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობის მიხედვით.	№1	154.10	სააქციო საზოგადოების რეგისტრაციამდე, ნებისმიერ არაფულად შენატანთან დაკავშირებით აქციონერების მიერ შერჩეული დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ უნდა შედგეს ანგარიში, რომელიც უნდა გამოქვეყნდეს ელექტრონული პორტალის მეშვეობით. აუდიტორი შესაძლოა იყოს ფიზიკური ან იურიდიული პირი.	სშ	წინამდებარე დირექტივა დამოუკიდებელი ექსპერტის შერჩევის ორ ალტერნატიულ მექანიზმს აწესებს, კერძოდ, სასამართლოს ან მხარეთა შეთანხმებას. წარმოდგენილი კანონპროექტი აქედან ითვალისწინებს აუდიტორის შერჩევას მხოლოდ მხარეთა შეთანხმების გზით. კანონპროექტის მხრიდან ამგვარი მოდელის არჩევა განპირობებულია ორი ფაქტორით - ერთი მხრივ, სასამართლოს მიერ აუდიტორის არჩევის საკითხის გადაწყვეტა საჭიროებს გარკვეულ დროს, რამაც შესაძლებელია თავად საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესის გახანგრძლივება გამოიწვიოს, მეორე მხრივ, სასამართლოსადმი მიმართვა დაკავშირებულია სასამართლო ხარჯებთან, რაც მხარეებისთვის დამატებით ფინანსურ ტვირთს შექმნიდა. შესაბამისად, მიზნის განხორციელებას, მხარეებმა საზოგადოება დააფუძნონ მარტივად და მოქნილად, შეაფერხებდა.
10.2	1-ელი პუნქტით განსაზღვრული ექსპერტების ანგარიში სულ მცირე უნდა შეიცავდეს შენატანის შემადგენელი თითოეული აქტივის აღწერას, ისევე როგორც, გამოყენებული შეფასების მეთოდებს და ანგარიში ასევე უნდა განმარტავდეს, შეესაბამება თუ არა ამ მეთოდების გამოყენებით მიღებული ღირებულება სულ მცირე აქციების რაოდენობასა და ნომინალურ ღირებულებას ან, ნომინალური ღირებულების	№1	154.11	აუდიტორის ანგარიში, სულ მცირე, უნდა შეიცავდეს შენატანის შემადგენელი თითოეული აქტივის აღწერას, ისევე როგორც გამოყენებული შეფასების მეთოდებს და უნდა იუწყებოდეს, შეესაბამება თუ არა აღნიშნული მეთოდების გამოყენებით	სშ	

	არარსებობის შემთხვევაში, მათ საბალანსო ღირებულებას და, საჭიროების შემთხვევაში, გამოსაცემ აქციაზე დარიცხულ პრემიას.			მიღებული ღირებულება მათი შესაბამისი აქციების ოდენობასა და ნომინალურ ღირებულებას, ხოლო ნომინალური ღირებულების არარსებობისას - ამ კანონის 158-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ ღირებულებას.		
10.3	ექსპერტის ანგარიში ქვეყნდება თითოეული წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, 2009/101/EC დირექტივის მე-3 მუხლის შესაბამისად.	№1	154.10	სააქციო საზოგადოების რეგისტრაციამდე ნებისმიერ არაფულად შენატანთან დაკავშირებით აქციონერის მიერ შერჩეული დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ უნდა შედგეს ანგარიში, რომელიც უნდა გამოქვეყნდეს რეესტრში. აუდიტორი შესაძლოა იყოს ფიზიკური ან იურიდიული პირი.	სშ	
10.4	წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება გადაწყვიტონ, რომ არ გამოიყენონ წინამდებარე მუხლი, თუ ყველა აქციის ნომინალური ღირებულების ან, ნომინალური ღირებულების არარსებობის შემთხვევაში, საბალანსო ღირებულების 90%, გაიცემა ერთ ან მეტ კომპანიაზე არაფულადი შენატანის სანაცვლოდ და, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი მოთხოვნები: (a) კომპანიის მიერ აღნიშნული შენატანის მიღებასთან მიმართებით, მე-3 მუხლის (i) პუნქტით გათვალისწინებული პირები შეთანხმდნენ, რომ არ მოამზადონ ექსპერტების ანგარიში; (b) ამგვარი შეთანხმება გამოქვეყნებულია მე-3 პუნქტის შესაბამისად; (c) კომპანიებს, რომლებიც ახდენენ აღნიშნული შენატანის უზრუნველყოფას, აქვთ რეზერვები, რომელიც შეიძლება არ განაწილდეს კანონით ან წესდებით და, რომელიც სულ მცირე უტოლდება ნომინალურ ღირებულებას, ან ნომინალური ღირებულების არარსებობის შემთხვევაში, არაფულადი შენატანისთვის გამოცემული აქციების საბალანსო ღირებულებას;				ას	აღნიშნული დებულება არ წარმოადგენს იმპერატიულ დათქმას თავად ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვისაც და არის შესასრულებლად არასავალდებულო ხასიათის. ამდენად, მისი გათვალისწინება საქართველოსთვის არ წარმოადგენს სავალდებულო მოთხოვნას.

	(d) კომპანიები, რომლებიც უზრუნველყოფენ ამგვარი შენატანის გარანტიას, რომელიც უტოლდება (c) ქვეპუნქტში მითითებულ ოდენობას, ახდენენ მიმღები კომპანიის ვალდებულების უზრუნველყოფას, რომელიც კომპანიას წარმოუშვება მაშინ, როცა აქციების გამოცემა ხდება არაფულადი შენატანის სასაცვლოდ და კომპანიის წლიური ბუღალტრული აღრიცხვების ანგარიშების გამოქვეყნებიდან ერთ წელიწადში, იმ საანგარიშო წლის მანძილზე, როცა განხორციელდა აღნიშნული შენატანის უზრუნველყოფა; ამ პერიოდში, დაუშვებელია აღნიშნული აქციების ნებისმიერი გადაცემა; (e) (d) ქვეპუნქტში მითითებული გარანტია გამოქვეყნებულია მე-3 პუნქტით დადგენილი წესით; და (f) კომპანიებმა, რომლებიც ახორციელებენ აღნიშნულ შენატანს, თანხა, რომელიც უთანაბრდება (c) პუნქტში მითითებულს, უნდა განათავსონ რეზერვში, რომლის განაწილებაც დაუშვებელია მიმღები კომპანიის წლიური ანგარიშების გამოქვეყნებიდან სამი წლის განმავლობაში, იმ საანგარიშო პერიოდისთვის, რომლის განმავლობაშიც მოხდა აღნიშნული შენატანის განხორციელება, ან, საჭიროების შემთხვევაში, ამ უკანასკნელ თარიღამდე, როცა დაკმაყოფილდა გარანტიასთან დაკავშირებული (d) ქვეპუნქტში მითითებული ყველა მოთხოვნა, რომლის წარდგენაც ამ პერიოდში მოხდა.					
10.5	წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება გადაწყვიტონ, არ გამოიყენონ წინამდებარე მუხლი შერწყმის ან გაყოფის გზით შექმნილ ახალ კომპანიასთან მიმართებით, როცა შერწყმის ან გაყოფის პირობების პროექტზე მომზადებულია ერთი ან მეტი დამოუკიდებელი ექსპერტის ანგარიში. როცა წევრი სახელმწიფოები წყვეტენ, გამოიყენონ წინამდებარე მუხლი პირველ პუნქტში მითითებულ შემთხვევებში, მათ შეიძლება უზრუნველყონ, რომ წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული და ერთი ან მეტი დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ შედგენილი ანგარიში, შერწყმის ან გაყოფის პირობების პროექტზე, შედგეს ერთი და იგივე ექსპერტის ან ექსპერტების მიერ.	№1	154.12	შერწყმის/გაყოფის შედეგად დაფუძნებული ახალი სამეწარმეო საზოგადოების მიმართ არ გამოიყენება ამ მუხლის მე-9 პუნქტით დადგენილი მოთხოვნა, თუ შერწყმის/გაყოფის გეგმა შემოწმებულია დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ ამ კანონის 72-ე მუხლით დადგენილი წესით.	სშ	
11	1. წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება გადაწყვიტონ, არ გამოიყენონ წინამდებარე დირექტივის მე-10(1), (2) და (3) მუხლები, როდესაც ადმინისტრაციული ან მმართველი ორგანოს გადაწყვეტილებით გაიცემა ევროპარლამენტისა და საბჭოს 2004 წლის 21 აპრილის 2004/39/EC დირექტივის, ფინანსური ინსტრუმენტების ბაზრის, მე-4(1) მუხლის მე-18 პუნქტით განსაზღვრული მიმოქცევადი ფასიანი ქაღალდები ან ამავე დირექტივის მე-4(1) მუხლის მე-19 პუნქტით				ას	წარმოდგენილი კანონპროექტის 154-ე მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტებში გათვალისწინებულია წინამდებარე დირექტივის მე-10(1), (2) და (3) მუხლები. ამდენად, არ იკვეთება დირექტივის მე-11 მუხლით დადგენილი მოთხოვნების შესრულების ვალდებულება. თავის მხრივ, აღნიშნული დებულების გათვალისწინება ნებაყოფლობითი და

განსაზღვრული ფულადი ბაზრის ინსტრუმენტები, რომლებიც შეიტანება არაფულადი შენატანის სახით და აღნიშნული ფასიანი ქაღალდები ან ფულადი ბაზრის ინსტრუმენტები ფასდება საშუალო შეწონილი ფასით, რომლითაც განხორციელდა მათი ვაჭრობა ამავე დირექტივის 4(1) მუხლის მე-14 პუნქტით განსაზღვრულ ერთ ან მეტ რეგულირებულ ბაზარზე დროის საკმარის პერიოდში, რაც უნდა განისაზღვროს ეროვნული კანონმდებლობით და რომელიც წინ უნდა უსწრებდეს შესაბამისი არაფულადი შენატანის განხორციელების თარიღს. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ ფასზე გავლენას ახდენს განსაკუთრებული გარემოებები, რომლებიც მნიშვნელოვნად ცვლის აქტივის ღირებულებას მისი შენატანის განხორციელების თარიღის დადგომისთვის, მათ შორის ისეთ შემთხვევებში, როცა ბაზარი ასეთი მიმოქცევადი ფასიანი ქაღალდებისთვის ან ფულადი ბაზრის ინსტრუმენტებისთვის ხდება არალიკვიდური, უნდა განხორციელდეს ხელახალი შეფასება, ადმინისტრაციული ან მმართველი ორგანოს ინიციატივით და მათი პასუხისმგებლობით. ამგვარი ხელახალი შეფასების მიზნებისთვის გამოიყენება მე-10 მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-3 პუნქტები. 2. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ გადაწყვიტონ, არ გამოიყენონ მე-10(1), (2) და (3) მუხლი, თუ, ადმინისტრაციული ან მმართველი ორგანოს გადაწყვეტილებით, აქტივები, გარდა წინამდებარე მუხლის 1-ელ პუნქტში მითითებული მიმოქცევადი ფასიანი ქაღალდების და ფულადი ბაზრის ინსტრუმენტებისა, განხორციელებულია არაფულადი შენატანის სახით, რომელიც აღიარებულმა დამოუკიდებელმა ექსპერტმა უკვე დაუქვემდებარა დასკვნას სამართლიანი ღირებულების შესახებ და როცა შესრულებულია შემდეგი პირობები: (a) სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება აქტივის შენატანის სახით განხორციელების თარიღამდე არანაკლებ ექვსი თვით ადრე; და (b) ღირებულების შეფასება მოხდა წევრ სახელმწიფოში ზოგადად დამკვიდრებული ღირებულების შეფასების სტანდარტებისა და პრინციპების მიხედვით, რომლებიც გამოიყენება იმ ტიპის აქტივების მიმართ, რომლებიც შენატანის სახით შეიტანება. ახალი მაკვალიფიცირებელი გარემოებების არსებობის შემთხვევაში, რაც მნიშვნელოვნად ცვლის აქტივის სამართლიან ღირებულებას, მისი შენატანის სახით					არასავალდებულოა თავად ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვისაც.
--	--	--	--	--	--

	განხორციელების თარიღისთვის, უნდა განხორციელდეს ხელახალი შეფასება ადმინისტრაციული ან მმართველი ორგანოს ინიციატივით და მათი პასუხისმგებლობით. ამგვარი ხელახალი შეფასების მიზნებისთვის გამოიყენება მე-10(1), (2) და (3) მუხლი. აღნიშნული გადაფასების არარსებობის შემთხვევაში, ერთმა ან მეტმა აქციონერმა, რომელიც ფლობს კომპანიის განთავსებული კაპიტალის საერთო ჯამური ოდენობის მინიმუმ 5 %-ს კაპიტალის გაზრდის გადაწყვეტილების მიღების დღისთვის, შეიძლება მოითხოვოს დამოუკიდებელი ექსპერტის შეფასება მე-10(1), (2) და (3) მუხლით დადგენილი წესით. ასეთი აქციონერ(ებ)ი უფლებამოსილი არიან, წარადგინოს (წარადგინონ) მოთხოვნა შენატანის განხორციელების თარიღის დადგომამდე, იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის თარიღისთვის შესაბამისი აქციონერ(ებ)ი კვლავ ფლობს (ფლობენ) კომპანიის განთავსებული კაპიტალის საერთო ჯამური ოდენობის მინიმუმ 5%-ს, ისევე, როგორც კაპიტალის გაზრდის გადაწყვეტილების მიღების დღეს. 3. წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება გადაწყვიტონ, არ გამოიყენონ მე-10(1), (2) და (3) მუხლი, თუ ადმინისტრაციული ან მმართველი ორგანოს გადაწყვეტილებით, აქტივები, გარდა წინამდებარე მუხლის 1-ელ პუნქტში მითითებული მიმოქცევადი ფასიანი ქაღალდებისა და ფულადი ბაზრის ინსტრუმენტებისა, განხორციელებულია არაფულადი შენატანის სახით, რომლის სამართლიანი ღირებულებაც ინდივიდუალური აქტივიდან გამომდინარეობს წინა საანგარიშო პერიოდის სავალდებულო ანგარიშებიდან, იმ შემთხვევაში, თუ სავალდებულო ანგარიშები დაექვემდებარა აუდიტს, ევროპარლამენტისა და საბჭოს 2006 წლის 17 მაისის 2006/43/EC დირექტივის შესაბამისად, წლიური და კონსოლიდირებული ანგარიშების კანონით დადგენილი აუდიტის განხორციელების შესახებ. წინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტის მეორე-მეხუთე ქვეპუნქტები გამოიყენება <i>mutatis mutandis</i>.					
12	1. თუ მე-11 მუხლით გათვალისწინებული არაფულადი შენატანის განხორციელება ხდება მე-10(1), (2) და (3) მუხლით დადგენილი ექსპერტის ანგარიშის გარეშე, მაშინ, მე-3 მუხლის (h) პუნქტის მოთხოვნებთან ერთად და შენატანის განხორციელების დროიდან ერთი თვის განმავლობაში უნდა გამოქვეყნდეს განაცხადი, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგს:				ას	იხ. დირექტივის მე-11 მუხლის კომენტარი მე-7 ველში.

	(a) არაფულადი შენატანის სახე; (b) მისი ღირებულება, ღირებულების შეფასების წყარო და, საჭიროების შემთხვევაში, ღირებულების შეფასების მეთოდი; (c) განაცხადი იმის შესახებ, მიღებული ღირებულება სულ მცირე შეესაბამება თუ არა შენატანის ოდენობას, ნომინალურ ღირებულებას, ან, ნომინალური ღირებულების არარსებობის შემთხვევაში, საბალანსო ღირებულებას და, საჭიროების შემთხვევაში, აქციის პრემიას, რომელიც უნდა გაიცეს აღნიშნული შენატანისთვის; და (d) განცხადება იმის შესახებ, რომ თავდაპირველი ღირებულების შეფასებასთან მიმართებით არანაირი ახალი მაკვალიფიცირებელი გარემოებები არ გამოვლენილა. გამოქვეყნება ხორციელდება თითოეული წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობით განსაზღვრული გზით, 2009/101/EC დირექტივის მე-3 მუხლის შესაბამისად. 2. იმ შემთხვევაში, თუ არაფულადი შენატანის განხორციელება ხდება მე-10(1), (2) და (3) მუხლით გათვალისწინებული ექსპერტის ანგარიშის გარეშე, 29(2)-ე მუხლით დადგენილი კაპიტალის გაზრდის შეთავაზებასთან დაკავშირებით, განცხადება, რომელიც უნდა შეიცავდეს კაპიტალის გაზრდის გადაწყვეტილების მიღების თარიღსა და წინამდებარე მუხლის 1-ელ პუნქტში ჩამოთვლილ ინფორმაციას, უნდა გამოქვეყნდეს თითოეული წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, 2009/101/EC დირექტივის მე-3 მუხლის შესაბამისად, არაფულადი შენატანის განხორციელებამდე. აღნიშნულ შემთხვევაში, წინამდებარე მუხლის 1-ელი პუნქტით გათვალისწინებული განაცხადი უნდა შემოიფარგლოს იმ განცხადებით, რომ წინამდებარე განცხადების გამოქვეყნების შემდეგ არავითარი ახალი მაკვალიფიცირებელი გარემოებები არ გამოვლენილა. 3. თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს სათანადო გარანტიები, რომლებიც უზრუნველყოფს ამ მუხლითა და მე-11 მუხლით განსაზღვრულ პროცედურასთან შესაბამისობას, როცა არაფულადი შენატანის განხორციელება მე-10(1), (2) და (3) მუხლით დადგენილი ექსპერტის განცხადების გარეშე ხორციელდება.				
13	1. თუ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით განსაზღვრული ვადის ამოწურვამდე, კომპანიის დაფუძნებიდან ან საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭებიდან სულ მცირე ორი წლის	№ 1	225.7	თუ რეგისტრაციიდან 2 წლის განმავლობაში სააქციო საზოგადოება შეიძენს აქტივს სააქციო საზოგადოების აქციონერისგან, რომლის ღირებულება	სშ

	განმავლობაში, კომპანია შეიძენს ნებისმიერ აქტივს მე-3 მუხლის (i) პუნქტში მითითებული პირის, კომპანიის ან ფირმისგან რომელიც საკუთარი განთავსებული კაპიტალის ერთ მეათედზე ნაკლებს არ წარმოადგენს, შესყიდვა უნდა გადამოწმდეს და მისი დეტალები გამოქვეყნდეს მე-10(1), (2) და (3) მუხლით დადგენილი წესით და დასამტკიცებლად უნდა წარედგინოს საერთო კრებას. მე-11 და მე-12 მუხლები გამოიყენება <i>mutatis mutandis</i>. წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება აღნიშნული დებულებების გამოყენება ასევე მოითხოვონ იმ შემთხვევაშიც, როცა აქტივები ეკუთვნის აქციონერს ან ნებისმიერ სხვა პირს. 2. 1-ლი პუნქტი არ ვრცელდება კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში, ასევე ადმინისტრაციული ან სასამართლო ხელისუფლების ოგანოების მიერ ან მათი ზედამხედველობით, ან გაფორმებულ შესყიდვებს თუ საფონდო ბირჟაზე განხორციელებულ შესყიდვებზე.			საკუთარი განთავსებული კაპიტალის არანაკლებ 10 პროცენტია, ამ გარიგების მიმართ უნდა შედგეს დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში და უნდა გამოქვეყნდეს ამ კანონის 154-ე მუხლის მე-11 და მე-11 პუნქტების შესაბამისად და იგი უნდა დამტკიცდეს პარტნიორთა კრების მიერ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ხელშეკრულება დაიდო საზოგადოების ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში, ან საფონდო ბირჟაზე განხორციელებულ შესყიდვასთან დაკავშირებით.		
14	განთავსებული კაპიტალის შემცირებასთან დაკავშირებული დებულებების თანახმად, აქციონერები შეიძლება არ გათავისუფლდნენ თავიანთი შენატანის შეტანის ვალდებულებისგან.	№1	28	დაუშვებელია კომანდიტური საზოგადოების კომანდიტის, შეზღუდული პასუხისმგებლობის, სააქციო საზოგადოებისა და კოოპერატივის პარტნიორის გათავისუფლება შენატანის შეტანის ვალდებულებისაგან, გარდა ამ კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა.	სშ	
15	შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის კოორდინაციისას, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები, რათა უზრუნველყონ სულ მცირე ის გარანტიები, რომლებიც განსაზღვრულია მე-2-მე-14 მუხლებით, სხვა ტიპის კომპანიის შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანიად გარდაქმნის შემთხვევაში.	№1	62.2	გარდაქმნის შემთხვევაში, ახალი სამართლებრივი ფორმის სამეწარმეო საზოგადოების დაფუძნებასთან დაკავშირებით ამ კანონით დადგენილი მოთხოვნები გამოიყენება გარდაქმნილი სამეწარმეო საზოგადოების მიმართ.	სშ	
16	მე-2-მე-15 მუხლებით არ უნდა შეიზღუდოს წევრი სახელმწიფოების დებულებები კომპეტენციისა და პროცედურების შესახებ, რომლებიც ეხება წესდებებში ან სადამფუძნებლო დოკუმენტებში ცვლილებების შეტანას.				ას	აღნიშნული მუხლი. მისი ფორმიდან გამომდინარე, ტრანსპარენტობის მიზნებისთვის არ ექვემდებარება კანონმდებლობაში პირდაპირ ასახვას.
17.1	განთავსებული კაპიტალის შემცირების შემთხვევების გარდა, დაუშვებელია აქციონერებზე მოგების განაწილება იმ შემთხვევაში, თუ ბოლო საფინანსო წლის დასრულების თარიღისთვის კომპანიის წლიურ ანგარიშებში მოცემული წმინდა აქტივების ოდენობა ნაკლებია ან ამგვარი განაწილების შემდეგ იქნება ნაკლები ვიდრე განთავსებული კაპიტალის ოდენობა და კანონით ან წესდებით გათვალისწინებული ის რეზერვები, რომელთა აქციონერებზე განაწილებაც დაუშვებელია.	№1	183.1. „ა“	სააქციო საზოგადოება, შუალედური ან წლიური ფინანსური შედეგების მიხედვით, კანონით გათვალისწინებული წესით, უფლებამოსილია მიიღოს განთავსებულ აქციებზე დივიდენდების სახით მოგების განაწილების გადაწყვეტილება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა:	სშ	

				ა) დივიდენდის განაწილებამდე ან განაწილების შედეგად სააქციო საზოგადოების ბოლო ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული წმინდა აქტივის ოდენობა ნაკლები იქნება ვიდრე განთავსებული კაპიტალის ოდენობა და კანონით ან წესდებით გათვალისწინებული ის რეზერვები, რომელთა აქციონერებზე განაწილება დაუშვებელია;		
17.2	თუ განთავსებული კაპიტალის მოუთხოვნილი ნაწილი საბალანსო დოკუმენტში ნაჩვენებ აქტივებში არ არის მითითებული, მისი ღირებულება უნდა გამოაკლდეს 1-ელ პუნქტში მითითებულ განთავსებულ კაპიტალს.	№1	183.2	თუ განთავსებული კაპიტალის მოუთხოვნილი ნაწილი საბალანსო დოკუმენტში ნაჩვენებ აქტივებში მითითებული არ არის, მისი ღირებულება უნდა გამოაკლდეს ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში მითითებულ განთავსებულ კაპიტალს.	სშ	
17.3	აქციონერებისათვის გადანაწილებული თანხის ოდენობა არ შეიძლება იყოს იმაზე მეტი, ვიდრე უკანასკნელი საანგარიშო წლის დასასრულს მიღებული მოგების რაოდენობა და წინა წლიდან გადმოტანილი ან სპეციალურად ამ მიზნით რეზერვიდან გამოყოფილი თანხის ჯამი, რომელიც მცირდება წინა საანგარიშო წლიდან გადმოტანილი ზარალითა და კანონების შესაბამისად, რეზერვებში გადანახული თანხის ოდენობით.	№1	183.1. „ბ“	სააქციო საზოგადოება, შუალედური ან წლიური ფინანსური შედეგების მიხედვით, და კანონით გათვალისწინებული წესით, უფლებამოსილია, მიიღოს განთავსებულ აქციებზე დივიდენდების სახით მოგების განაწილების გადაწყვეტილება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა: ბ) დივიდენდის გასანაწილებელი ოდენობა აღემატება ბოლო ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ, ხოლო შუალედური დივიდენდის შემთხვევაში, ბოლო ფინანსური ანგარიშგების შემდგომ მიღებულ, სააქციო საზოგადოების წმინდა მოგებაზე წინა წლების გაუნაწილებელი მოგებისა და თავისუფალი რეზერვებიდან გამოთავისუფლებული სახსრების დამატებით და წინა წლების დაუფარავი ზარალის და კანონით ან წესდებით დადგენილ რეზერვებში	სშ	

				გადასარიცხი თანხების გამოკლებით მიღებულ ოდენობაზე;		
17.4	1-ელ და მე-3 პუნქტში გამოყენებული ტერმინი „განაწილება“ მოიცავს, კერძოდ, დივიდენდების და აქციებზე დარიცხული პროცენტის გადახდას.	№1	33.1	ამ კანონით დადგენილი წესების გათვალისწინებით, ყოველ პარტნიორს, სამეწარმეო საზოგადოების მოგების/კონების განაწილების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, უფლება აქვს მიიღოს წლიური ან შუალედური დივიდენდი.	სშ	
17.5	თუ წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობით ნებადართულია შუალედური დივიდენდის განაწილება, გამოიყენება სულ მცირე შემდეგი პირობები: (ა) უნდა შედგეს შუალედური ანგარიშები, რომლებიც აჩვენებს, რომ განაწილებისთვის ხელმისაწვდომი თანხები საკმარისი ოდენობისა; (ბ) აქციონერებზე გასანაწილებელი თანხის ოდენობა არ შეიძლება იყოს მეტი, ვიდრე უკანასკნელი საანგარიშო წლის დასასრულს მიღებული მოგების საერთო რაოდენობა, რომლისთვისაც წლიური ანგარიშები იქნა შედგენილი, და წინა წლიდან გადმოტანილი ან სპეციალურად ამ მიზნით რეზერვებიდან გამოყოფილი თანხის ჯამი, რომელიც მცირდება წინა საანგარიშო წლიდან გადმოტანილი ზარალითა და კანონის ან წესდების მოთხოვნების შესაბამისად, რეზერვებში გადანახული თანხის ოდენობით.	№1	183.1. „ბ“	სააქციო საზოგადოება, შუალედური ან წლიური ფინანსური შედეგების მიხედვით, კანონით გათვალისწინებული წესით, უფლებამოსილია, მიიღოს განთავსებულ აქციებზე დივიდენდების სახით მოგების განაწილების გადაწყვეტილება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა: ბ) დივიდენდის გასანაწილებელი ოდენობა აღემატება ბოლო ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ, ხოლო შუალედური დივიდენდის შემთხვევაში, ბოლო ფინანსური ანგარიშგების შემდგომ მიღებულ, სააქციო საზოგადოების წმინდა მოგებაზე წინა წლების გაუნაწილებელი მოგებისა და თავისუფალი რეზერვებიდან გამოთავისუფლებული სახსრების დამატებით და წინა წლების დაუფარავი ზარალის და კანონით ან წესდებით დადგენილ რეზერვებში გადასარიცხი თანხების გამოკლებით მიღებულ ოდენობაზე;	სშ	
17.6	პუნქტები 1-5 არ ზღუდავს წევრი სახელმწიფოების დებულებებს განთავსებული კაპიტალის ზრდას რეზერვების კაპიტალიზაციით.				ას	აღნიშნული მუხლი. მისი ფორმიდან გამომდინარე, ტრანსპარენციის მიზნებისთვის არ ექვემდებარება კანონმდებლობაში პირდაპირ ასახვას.
17.7	წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობა შეიძლება ითვალისწინებდეს 1-ლი პუნქტიდან გადახვევას ფიქსირებული კაპიტალის მქონე საინვესტიციო კომპანიების შემთხვევაში. ტერმინი „საინვესტიციო კომპანია ფიქსირებული კაპიტალით“, წინამდებარე პუნქტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს მხოლოდ იმ კომპანიებს: (ა) რომელთა ერთადერთი მიზანია, თავიანთი ფულადი სახსრები დააბანდონ სხვადასხვა წილებსა და აქციებში, მიწის				ას	აღნიშნული დებულება არ წარმოადგენს იმპერატიულ დათქმას თავად ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვისაც და არის შესასრულებლად არასავალდებულო ხასიათის. ამდენად, მისი გათვალისწინება საქართველოსთვის არ წარმოადგენს სავალდებულო მოთხოვნას.

	ნაკვეთში ან სხვა აქტივებში ერთადერთი მიზნით, რომ გავრცელდეს საინვესტიციო რისკები და თავიანთ აქციონერებს მიეცეთ აქციების განკარგვის შედეგებით სარგებლობის საშუალება; და (b) რომლებიც საზოგადოებას თავიანთი აქციების გამოწერას სთავაზობს. თუ წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობა იყენებს ამგვარ დისკრეციას, მათ უნდა: (a) მოსთხოვონ ასეთ კომპანიებს, რომ 2009/101/EC დირექტივის მე-5 მუხლში დასახელებულ ყველა დოკუმენტში მიუთითონ ტერმინი „საინვესტიციო კომპანია“; (b) არ დაუშვან აქციონერებზე მოგების განაწილება იმგვარი კომპანიების მიერ, რომლების წმინდა აქტივების ოდენობაც 1-ელ პუნქტში განსაზღვრულ ოდენობაზე ნაკლებია, თუ ბოლო საფინანსო წლის დასრულების თარიღისთვის კომპანიის წლიურ ანგარიშებში მოცემული მთლიანი აქტივების ოდენობა ნაკლებია ან ამგვარი განაწილების შემდეგ იქნება ერთ-ნახევარზე ნაკლები, ვიდრე კომპანიის წლიური ანგარიშებით კრედიტორებისადმი კომპანიის მთლიანი ვალდებულებების ღირებულება; და (c) მოსთხოვონ ნებისმიერ კომპანიას, რომელიც განაწილებას ახდენს მაშინ, როცა მისი წმინდა აქტივები ოდენობა 1-ელ პუნქტში განსაზღვრულზე დაბლა ეცემა, წლიურ ანგარიშში შეიტანონ შენიშვნა აღნიშნულთან დაკავშირებით.					
18	მოგების ნებისმიერი განაწილება, რომელიც მე-17 მუხლისგან განსხვავებულად ხორციელდება, უნდა დააბრუნონ აქციონერებმა, რომლებმაც ის მიიღეს, თუ კომპანია დაამტკიცებს, რომ ამ აქციონერებმა იცოდნენ, განაწილებისას წარმოშობილი ხარვეზებს შესახებ ან, გარემოებების გათვალისწინებით, შეუძლებელია, მათ ეს არ სცოდნოდათ.	№1	34	დაუშვებელია გაცემული დივიდენდის უკან მოთხოვნა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა დივიდენდის მიმღებმა პარტნიორმა მიღებისას იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ დივიდენდის განაწილებისას ადგილი ჰქონდა კანონით ან წესდებით დადგენილი ნორმების დარღვევას.	სშ	
19	1. განთავსებული კაპიტალის სერიოზული დანაკარგის შემთხვევაში, წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში სავალდებულოა აქციონერების საერთო კრების მოწვევა, რათა განისაზღვროს, კომპანიის საქმიანობას შეწყვეტა ან სხვა ღონისძიების მიღება. 2. 1-ლი პუნქტის მიზნებიდან გამომდინარე, სერიოზულად მიჩნეული ზარალის ოდენობა დაუშვებელია წევრმა სახელმწიფოებმა თავიანთი კანონმდებლობით	№1	52.1	ხელმძღვანელი პირები ვალდებული არიან, დაუყოვნებლივ მოიწვიონ პარტნიორთა კრება, თუ აღმოჩნდა, რომ სამეწარმეო საზოგადოების განთავსებული კაპიტალი შემცირდა ნახევრამდე.	სშ	

	განთავსებული კაპიტალის ნახევარზე მეტი ოდენობით განსაზღვრონ.					
20.1	კომპანიას არ შეუძლია განთავსოს თავისივე აქციები ამავე კომპანიის სასარგებლოდ.	№1	162.1	სააქციო საზოგადოების ახალი აქციები არ შეიძლება განთავსებულ იქნეს, ამავე საზოგადოების სასარგებლოდ.	სშ	
20.2	თუ კომპანიის აქციები განთავსდა მესამე პირის მიერ, რომელიც მოქმედებს საკუთარი სახელით, თუმცა კომპანიის დავალებით მოქმედი მესამე პირის მიერ, ითვლება, რომ მან ეს განთავსება განახორციელა საკუთარი ანგარიშით.	№1	162.2	თუ სააქციო საზოგადოების აქციები განთავსებულ იქნა ისეთი მესამე პირის სასარგებლოდ, რომელიც მოქმედებს საკუთარი სახელით, მაგრამ სააქციო საზოგადოების დავალებით, ჩაითვლება, რომ აქციები განთავსდა მესამე პირის სასარგებლოდ.	სშ	
20.3	მე-3 მუხლის (i) პუნქტში მითითებული პირები ან კომპანიები ან ფირმები, განთავსებული კაპიტალის გაზრდის შემთხვევაში, ადმინისტრაციული ან მმართველი ორგანოების წევრები პასუხისმგებელნი არიან გადაიხადონ წინამდებარე მუხლის დარღვევით განთავსებული აქციების საფასური. თუმცა, წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობამ შეიძლება უზრუნველყოს ნებისმიერი ასეთი პირის აღნიშნული ვალდებულებისგან გათავისუფლება, თუ ის დაამტკიცებს, საკუთარი ბრალის არარსებობას.	№1	162.3	ამ მუხლის პირველი პუნქტის დარღვევის შემთხვევაში, თითოეული აქციონერი ვალდებულია დააბრუნოს აქციების საფასური, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ის დაამტკიცებს, რომ არსებობს მისი ბრალის გამომრიცხავი გარემოებები.	სშ	
21.1. (a)	ერთნაირ მდგომარეობაში მყოფი ყველა აქციონერის თანასწორობის პრინციპისა და 2003/6/EC დირექტივის შეუზღუდავად, წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება უფლება დართონ კომპანიას, შეისყიდოს თავისი საკუთარი აქციები თვითონ ან მესამე პირის მიერ, რომელიც მოქმედებს საკუთარი სახელით, თუმცა კომპანიისთვის. იმდენად, რამდენადაც ამგვარი შესყიდვა ნებადართულია, წევრმა სახელმწიფოებმა იგი უნდა განახორციელონ შემდეგი პირობების დაცვით: (a) უფლებამოსილების მინიჭება ხდება საერთო კრებაზე, რომელიც განსაზღვრავს ამგვარი შესყიდვის პირობებს და, კერძოდ, შესასყიდი აქციების მაქსიმალურ ოდენობას, ასევე მინიჭებული უფლებამოსილების ხანგრძლივობას, რომლის მაქსიმალური პერიოდიც შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით განისაზღვრება და, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ხუთ წელს, ხოლო სასყიდლიანი შესყიდვის შემთხვევაში - მინიმალურ და მაქსიმალურ შენატანს. ადმინისტრაციული ან მმართველი ორგანოების წევრები უნდა დარწმუნდნენ, რომ თითოეული ნებადართული შესყიდვისას დაცული იყოს (b) და (c) პუნქტებში მითითებული პირობები;	№1	163.3. ა“	სააქციო საზოგადოების მიერ საკუთარი აქციის გამოსყიდვა დასაშვებია შემდეგი პირობების დაცვით: ა) პარტნიორთა კრების ნებართვით. ამ შემთხვევაში, საკუთარი აქციის გამოსყიდვის შესახებ გაცემული ნებართვა უნდა შეიცავდეს გამოსასყიდი აქციების მაქსიმალურ ოდენობას, ნებართვის მოქმედების პერიოდს არაუმეტეს 5 წლის ვადით და, სასყიდლიანი გამოსყიდვის შემთხვევაში, გამოსყიდვის მინიმალურ და მაქსიმალურ ფასს;	სშ	

21.1. (b)	შესყიდვებმა, მათ შორის, კომპანიის მიერ ადრე შეძენილი და მის მფლობელობაში არსებული აქციებისა და მესამე პირის მიერ, რომელიც მოქმედებს საკუთარი სახელით, თუმცა კომპანიის დავალებით შესყიდული აქციების ჩათვლით, არ უნდა გამოიწვიოს წმინდა აქტივების შემცირება იმ ოდენობის ქვემოთ, რაც მე-17(1) და (2) მუხლშია მოცემული; და	№1	163.3. „ბ“	სააქციო საზოგადოების მიერ საკუთარი აქციის გამოსყიდვა დასაშვებია შემდეგი პირობების დაცვით: ბ) საკუთარი აქციების გამოსყიდვამ არ უნდა გამოიწვიოს სააქციო საზოგადოების წმინდა აქტივის შემცირება სააქციო საზოგადოების ბოლო დამტკიცებული საფინანსო წლის ფინანსური ანგარიშგების მიხედვით განთავსებული კაპიტალის თანხის ოდენობაზე ნაკლებ ოდენობამდე, ასევე კანონით ან წესდებით გათვალისწინებული იმ რეზერვების ჯამის ოდენობაზე ნაკლებ ოდენობამდე, რომელთა აქციონერებზე განაწილება დაუშვებელია.	სშ	
21.1. (c)	შესყიდვა შეიძლება შეეხოს მხოლოდ იმ აქციებს, რომლის შენატანიც სრულად არის განხორციელებული.	№1	163.3. „გ“	სააქციო საზოგადოების მიერ საკუთარი აქციის გამოსყიდვა დასაშვებია შემდეგი პირობების დაცვით: გ) თუ გამოსყიდვა ეხება მხოლოდ იმ აქციას, რომლის შენატანიც ბოლომდეა განხორციელებული.	სშ	
	გარდა ამისა, წევრი სახელმწიფოები უფლებამოსილი არიან, პირველი პუნქტით გათვალისწინებული შესყიდვები დაუქვემდებარონ შემდეგ პირობებს: (ა) ნომინალური ღირებულება ან, მისი არარსებობის შემთხვევაში, აქციის საბალანსო ღირებულება, მათ შორის, კომპანიის მიერ ადრე შეძენილი და მის მფლობელობაში არსებული აქციების და ასევე, მესამე პირის მიერ, რომელიც მოქმედებს საკუთარი სახელით, თუმცა კომპანიის დავალებით, შეძენილი აქციების ჩათვლით, დაუშვებელია აღმატებოდეს წევრი სახელმწიფოების მიერ განსაზღვრულ ლიმიტს; ეს ლიმიტი არ შეიძლება შეადგენდეს განთავსებული კაპიტალის 10%-ზე ნაკლებს;	№1	163.4	საკუთარი გამოსყიდული აქციების ნომინალური ღირებულება არ უნდა აღმატებოდეს განთავსებული აქციების 25 პროცენტს. იგივე წესი გამოიყენება ამ კანონის 158-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი ღირებულებასთან მიმართებაშიც, როცა ნომინალური ღირებულება განსაზღვრული არ არის.	სშ	
		№1	163.8	ამ მუხლით გათვალისწინებული წესები ვრცელდება აგრეთვე მესამე პირის მიერ საკუთარი სახელით და სააქციო საზოგადოების დავალებით აქციის შეძენის შემთხვევაზე.		
	(ბ) კომპანიის უფლებამოსილება, შეიძინოს საკუთარი აქციები პირველი პუნქტის მიხედვით, შესასყიდი აქციების მაქსიმალური რაოდენობა, მინიჭებული უფლებამოსილების ხანგრძლივობა და მაქსიმალური ან მინიმალური შენატანის ოდენობა განისაზღვრება წესდებით ან კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტებით;	№1	163.3. „ა“	სააქციო საზოგადოების მიერ საკუთარ აქციის გამოსყიდვა დასაშვებია შემდეგ პირობების დაცვით: ა) პარტნიორთა კრების ნებართვით. ამ შემთხვევაში საკუთარი აქციის გამოსყიდვის შესახებ გაცემული	სშ	

				ნებართვა უნდა შეიცავდეს გამოსასყიდი აქციების მაქსიმალურ ოდენობას, ნებართვის მოქმედების პერიოდს არაუმეტეს 5 წლის ვადით და, სასყიდლიანი გამოსყიდვის შემთხვევაში, გამოსყიდვის მინიმალურ და მაქსიმალურ ფასს.		
	(c) კომპანია აკმაყოფილებს ანგარიშგებისა და შეტყობინებისთვის შესაბამის მოთხოვნებს;	№1	163.10	სააქციო საზოგადოების მიერ საკუთარი აქციების შეძენის შემთხვევაში, ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა აისახოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაცია.	სშ	
	(d) რიგ კომპანიებს, რომლებიც განსაზღვრულია წევრი სახელმწიფოების მიერ, შეიძლება შეეზღუდოს აქციების შესყიდვა, თუ სარეზერვო კაპიტალში შეიტანება შესასყიდად გაუქმებული აქცების ნომინალური ღირებულების ტოლი თანხა, რომლის აქციონერებზე განაწილებაც შეუძლებელია, გარდა განთავსებული კაპიტალის შემცირების შემთხვევისა; აღნიშნული რეზერვი შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ რეზერვების კაპიტალიზაციით განთავსებული კაპიტალის გაზრდის მიზნისთვის; და	№1	172.6	ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში სააქციო საზოგადოებამ უნდა შექმნას რეზერვი გაუქმებული აქციების ნომინალური ან ასეთის არარსებობის შემთხვევაში ამ კანონის 158-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი ღირებულების ოდენობით, რომელიც არ შეიძლება განაწილდეს აქციონერებზე, აღნიშნული რეზერვის გამოყენება დასაშვებია, მხოლოდ სააქციო საზოგადოების ზარალის დაფარვის ან განთავსებული კაპიტალის გაზრდის მიზნით.	სშ	
	(e) შესყიდვა არ უნდა ზღუდავდეს კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილებას.	№1	163.5	ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გამოსყიდვა დაუშვებელია, თუ გამოსყიდვის მომენტში სააქციო საზოგადოება გადახდისუნაროა ან აქციათა გამოსყიდვის შედეგად ის შეიძლება გადახდისუნარობის საფრთხის წინაშე აღმოჩნდეს.	სშ	
21.2	წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობამ შეიძლება დააწესოს გამონაკლისები 1-ლი პუნქტის (ა) ქვეპუნქტის პირველი წინადადებიდან, თუ კომპანიის მიერ საკუთარი				ას	კანონპროექტით ხდება დირექტივის 21.1.(ა) მუხლის გათვალისწინება სრულად, გამონაკლისის გარეშე. ამასთან, ამგვარი გამონაკლისის დაწესება

21.3	აქციების შესყიდვა აუცილებელია სერიოზული და გარდაუვალი ზიანის აღსაკვეთად. ასეთ შემთხვევაში, მომდევნო საერთო კრებას, ადმინისტრაციული და მმართველი ორგანოების მიერ უნდა მიეწოდოს ინფორმაცია განხორციელებული შესყიდვის მიზეზებისა და სახის, რაოდენობისა და ნომინალური ღირებულების ან, ნომინალური ღირებულების არარსებობის შემთხვევაში, აქციების საბალანსო ღირებულების შესახებ, მათ მიერ წარმოდგენილ განთავსებული კაპიტალის წილისა და აღნიშნული აქციების შენატანზე. წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება გადაწყვიტონ, არ გაავრცელონ 1-ლი პუნქტის (a) ქვეპუნქტის პირველი წინადადება იმ აქციებზე, რომელთა შესყიდვაც მოხდა თავად კომპანიის ან მესამე პირის მიერ, რომელიც მოქმედებს საკუთარი სახელით, თუმცა კომპანიის დავალებით, რათა ისინი განაწილებულიყოს ამ კომპანიის ან ასოცირებული კომპანიის თანამშრომლებზე. აღნიშნული აქციების განაწილება უნდა განხორციელდეს მათი შესყიდვიდან 12 თვის განმავლობაში.					არასავალდებულო და ნებაოფლობითი ხასიათისაა თავად ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვისაც.
22	1. წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება გადაწყვიტონ, რომ არ გაავრცელონ 21-ე მუხლი: (a) აქციებზე, რომელთა შესყიდვაც ხდება კაპიტალის შემცირების გადაწყვეტილების განსახორციელებლად ან 43-ე მუხლში მითითებული გარემოებების არსებობისას; (b) აქციებზე, რომელთა შესყიდვაც განხორციელდა აქტივების სრული გადაცემის შედეგად; (c) იმ აქციებზე, რომლის შენატანიც სრულად არის განხორციელებული და რომელთა შესყიდვაც უფასოდ ან ბანკის და სხვა საფინანსო ინსტიტუტების მიერაა განხორციელებული, როგორც შესყიდვის საკომისიო; (d) სამართლებრივი ვალდებულებების ან მცირე წილის მქონე აქციონერთა დასაცავად სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე შესყიდულ აქციებზე, განსაკუთრებით, შერწყმის, კომპანიის მიზნის ან ფორმის ცვლილების, იურიდიული მისამართის საზღვარგარეთ გადატანის ან აქციების გადაცემაზე შეზღუდვების დაწესების შემთხვევაში; (e) აქციონერებისგან შეძენილ აქციებზე, მათი ღირებულების გადაუხდელობის შემთხვევაში;				ას	აღნიშნული დებულება არ წარმოადგენს იმპერატიულ დათქმას თავად ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვისაც და არის შესასრულებლად არასავალდებულო ხასიათის. ამდენად, მისი გათვალისწინება საქართველოსთვის არ წარმოადგენს სავალდებულო მოთხოვნას.

	(f) ასოცირებულ კომპანიებში მცირე წილის მფლობელ აქციონერთა კომპენსაციისთვის შესყიდულ აქციებზე; (g) აქციებზე, რომელთა შენატანიც სრულად არის განხორციელებული და რომელთა შესყიდვაც ხდება სასამართლო გადაწყვეტილებით, აქციების მფლობელის მიერ კომპანიისთვის ვალის გადასახდელად; და (h) მე-17(7) მუხლის მეორე ქვეპუნქტით განსაზღვრული ფიქსირებული კაპიტალის მქონე საინვესტიციო კომპანიის მიერ გამოცემულ აქციებზე, რომელთა შენატანიც სრულად არის განხორციელებული და რომელთა შესყიდვაც ხორციელდება ინვესტორის მოთხოვნით, აღნიშნული ან ასოცირებული კომპანიის მიერ. 17(7) მუხლის მე-3 ქვეპუნქტის (a) პუნქტი უნდა გავრცელდეს. აღნიშნულ შესყიდვებს შეიძლება შედეგად არ მოჰყვეს წმინდა აქტივების შემცირება განთავსებული კაპიტალის ოდენობაზე, ასევე, ნებისმიერ სარეზერვო კაპიტალზე ქვევით, რომელთა განაწილებაც კანონით აკრძალულია. 2. 1-ლი პუნქტის (b)-(g) ქვეპუნქტებში ჩამოთვლილ შემთხვევებში, შესყიდული აქციები უნდა გასხვისდეს მათი შესყიდვიდან არაუმეტეს სამი წლის განმავლობაში, თუკი ნომინალური ღირებულება ან, ნომინალური ღირებულების არარსებობის შემთხვევაში, შესყიდული აქციების საბალანსო ღირებულება, მათ შორის, კომპანიის იმ აქციების ჩათვლით, რომელთა შესყიდვაც განხორციელდა მესამე პირის მიერ, რომელიც მოქმედებს საკუთარი სახელით, თუმცა კომპანიის დავალებით, არ აღემატება განთავსებული კაპიტალის 10 %-ს. 3. თუ აქციები არ გასხვისდება მე-2 პუნქტით დადგენილი დროის განმავლობაში, ისინი უნდა გაუქმდეს. წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობამ ეს გაუქმება შეიძლება დაუქვემდებაროს განთავსებული კაპიტალის შესაბამის შემცირებას. ასეთი შემცირება უნდა განხორციელდეს, როცა გასაუქმებელი აქციების შესყიდვას შედეგად მოჰყვება წმინდა აქტივების იმ რაოდენობაზე დაბლა დაცემა, რაც განსაზღვრულია მე-17(1) და (2) მუხლებით.					
23	21-ე და 22-ე მუხლების დარღვევით შესყიდული აქციები უნდა გასხვისდეს მათი შესყიდვიდან ერთი წლის ვადაში. თუ ამ ვადაში არ მოხდება მათი გასხვისება, მაშინ, გამოიყენება 22(3)-ე მუხლით დადგენილი წესი.	№1	163.7	ამ მუხლის მე-3 ან მე-4 პუნქტის მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში, სააქციო საზოგადოება ვალდებულია 1 წლის ვადაში გაასხვისოს გამოსყიდული აქციები. თუ ამ ვადაში არ მოხდა გამოსყიდული აქციების გასხვისება, ისინი უნდა გაუქმდეს და შემცირდეს განთავსებული კაპიტალი.	სშ	

24.1. (a)	თუ წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობა უფლებას ანიჭებს კომპანიებს, შეიძინოს საკუთარი აქციები თვითონ ან საკუთარი სახელით, თუმცა კომპანიის დავალებით მოქმედი მესამე პირის მეშვეობით, ისინი ვალდებული არიან ამ აქციების მფლობელობა ნებისმიერ დროს დაუქვემდებარონ სულ მცირე შემდეგ პირობებს: (a) აქციებიდან გამომდინარე უფლებებიდან, ხმის მიცემის უფლება, რომელიც წარმოიშობა კომპანიის კუთვნილი აქციებიდან, ნებისმიერ შემთხვევაში უნდა შეჩერდეს;	№1	163 (8 და 9)	8. ამ მუხლით გათვალისწინებული წესები ვრცელდება აგრეთვე მესამე პირის მიერ საკუთარი სახელით და სააქციო საზოგადოების დავალებით აქციის შეძენის შემთხვევაზე. 9. სააქციო საზოგადოების მიერ საკუთარი აქციების შეძენის შემთხვევაში, ამ აქციებიდან გამომდინარე უფლებები ჩერდება.	სშ	
24.1. (b)	თუ აქციები შედის საბალანსო დოკუმენტში ნაჩვენებ აქტივებში, იმავე ოდენობის რეზერვი, რომლის განაწილებაც დაუშვებელია, უნდა იქნას შეტანილი სხვა ვალდებულებებს შორის.	№1	183.1. „ა“	სააქციო საზოგადოება, შუალედური ან წლიური ფინანსური შედეგების მიხედვით, კანონით გათვალისწინებული წესით, უფლებამოსილია მიიღოს განთავსებულ აქციებზე დივიდენდების სახით მოგების განაწილების გადაწყვეტილება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა: ა) დივიდენდის განაწილებამდე ან განაწილების შედეგად სააქციო საზოგადოების ბოლო ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული წმინდა აქტივის ოდენობა ნაკლები იქნება ვიდრე განთავსებული კაპიტალის ოდენობა და კანონით ან წესდებით გათვალისწინებული ის რეზერვები, რომელთა აქციონერებზე განაწილება დაუშვებელია;	სშ	
		№1	183.2	თუ განთავსებული კაპიტალის მოუთხოვნილი ნაწილი საბალანსო დოკუმენტში ნაჩვენებ აქტივებში მითითებული არ არის, მისი ღირებულება უნდა გამოაკლდეს ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში მითითებულ განთავსებულ კაპიტალს.		
24.2. (a)	თუ წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობა უფლებას ანიჭებს კომპანიას, შეისყიდოს საკუთარი აქციები, თვითონ ან საკუთარი სახელით, თუმცა კომპანიის დავალებით მოქმედი მესამე პირის მეშვეობით, მათ უნდა მოითხოვონ, რომ წლიური ანგარიში მოიცავდეს სულ მცირე შემდეგს:	№1	163.10	სააქციო საზოგადოების მიერ საკუთარი აქციების შეძენის შემთხვევაში, ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა აისახოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-	სშ	

	(a) საფინანსო წლის პერიოდში აქციების შესყიდვის მიზეზები;			6 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაცია.		
		№2	7.6. „ე.ა“	ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმიანობის მიმოხილვა, საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, ასახავს სუბიექტის საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის, სუბიექტის წინაშე არსებული ძირითადი რისკებისა და გაურკვევლობების ამომწურავ ანალიზს. იგი სუბიექტის საქმიანობის სრულად გაგებისთვის, საჭიროების შემთხვევაში, დამატებით უნდა მოიცავდეს აუცილებელ ძირითად ფინანსურ და არაფინანსურ მაჩვენებლებს, არაფინანსურ ინდიკატორებს, რომლებიც დაკავშირებულია სუბიექტის საქმიანობასთან, მათ შორის, დასაქმების და გარემოს დაცვის საკითხებთან, აგრეთვე წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებით განმარტებებს. საქმიანობის მიმოხილვა ასევე უნდა მოიცავდეს: ე) საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაციას, რომელიც სულ მცირე უნდა მოიცავდეს შემდეგ მონაცემებს: ე.ა) საანგარიშგებო პერიოდში აქციების შეძენის მიზეზი;		
24.2. (b)	საფინანსო წლის განმავლობაში შეძენილი და გასხვისებული აქციების რაოდენობა და ნომინალური ღირებულება ან, ნომინალური ღირებულების არარსებობის შემთხვევაში, აქციის საბალანსო ღირებულება და განთავსებულ კაპიტალში აქციების წილობრივი მაჩვენებელი;	№2	7.6. „ე.ბ“	ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმიანობის მიმოხილვა, საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, ასახავს სუბიექტის საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის, სუბიექტის წინაშე არსებული ძირითადი რისკებისა და გაურკვევლობების ამომწურავ ანალიზს. იგი სუბიექტის საქმიანობის სრულად გაგებისთვის, საჭიროების შემთხვევაში, დამატებით უნდა	სშ	

				მოიცავდეს აუცილებელ ძირითად ფინანსურ და არაფინანსურ მაჩვენებლებს, არაფინანსურ ინდიკატორებს, რომლებიც დაკავშირებულია სუბიექტის საქმიანობასთან, მათ შორის, დასაქმების და გარემოს დაცვის საკითხებთან, აგრეთვე წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებით განმარტებებს. საქმიანობის მიმოხილვა ასევე უნდა მოიცავდეს: ე) საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაციას, რომელიც სულ მცირე უნდა მოიცავდეს შემდეგ მონაცემებს: ე.ბ) საანგარიშგებო პერიოდში შეძენილი და გასხვისებული აქციების რაოდენობა და ნომინალური ღირებულება, ხოლო მისი არარსებობის შემთხვევაში – საბალანსო ღირებულება და განთავსებულ კაპიტალში აქციების წილობრივი მაჩვენებელი;		
24.2.(c)	სასყიდლიანი შესყიდვის ან გასხვისების შემთხვევაში, აქციებზე განხორციელებული შენატანის შესახებ;	№2	7.6. „ე.გ“	ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმიანობის მიმოხილვა, საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, ასახავს სუბიექტის საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის, სუბიექტის წინაშე არსებული ძირითადი რისკებისა და გაურკვევლობების ამომწურავ ანალიზს. იგი სუბიექტის საქმიანობის სრულად გაგებისთვის, საჭიროების შემთხვევაში, დამატებით უნდა მოიცავდეს აუცილებელ ძირითად ფინანსურ და არაფინანსურ მაჩვენებლებს, არაფინანსურ ინდიკატორებს, რომლებიც დაკავშირებულია სუბიექტის საქმიანობასთან, მათ შორის, დასაქმების და გარემოს დაცვის საკითხებთან, აგრეთვე წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებით განმარტებებს. საქმიანობის მიმოხილვა ასევე უნდა მოიცავდეს:	სშ	

				ე) საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაციას, რომელიც სულ მცირე უნდა მოიცავდეს შემდეგ მონაცემებს: ე.გ) აქციების შეძენისათვის ან გასხვისებისათვის განხორციელებული საპასუხო შესრულება;		
24.2. (d)	კომპანიის მიერ შეძენილი ან საკუთრებაში დატოვებული აქციების რაოდენობა და ნომინალური ღირებულება ან, ნომინალური ღირებულების არარსებობის შემთხვევაში, აქციების საბალანსო ღირებულება და წარმოდგენილ განთავსებულ კაპიტალში აქციების წილობრივი მაჩვენებელი.	№2	7.6. „ე.დ“	ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმიანობის მიმოხილვა, საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, ასახავს სუბიექტის საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის, სუბიექტის წინაშე არსებული ძირითადი რისკებისა და გაურკვევლობების ამომწურავ ანალიზს. იგი სუბიექტის საქმიანობის სრულად გაგებისთვის, საჭიროების შემთხვევაში, დამატებით უნდა მოიცავდეს აუცილებელ ძირითად ფინანსურ და არაფინანსურ მაჩვენებლებს, არაფინანსურ ინდიკატორებს, რომლებიც დაკავშირებულია სუბიექტის საქმიანობასთან, მათ შორის, დასაქმების და გარემოს დაცვის საკითხებთან, აგრეთვე წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებით განმარტებებს. საქმიანობის მიმოხილვა ასევე უნდა მოიცავდეს: ე) საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაციას, რომელიც სულ მცირე უნდა მოიცავდეს შემდეგ მონაცემებს: ე.დ) საანგარიშგებო პერიოდში შეძენილი და საკუთრებაში დატოვებული აქციების რაოდენობა და ნომინალური ღირებულება, ხოლო მისი არარსებობის შემთხვევაში – საბალანსო ღირებულება და განთავსებულ კაპიტალში აქციების წილობრივი მაჩვენებელი;	სშ	
25	1. თუ წევრი სახელმწიფოები უფლებას ანიჭებენ კომპანიას, პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით, მოახდინონ საავანსო დაფინანსება, გაცეს სესხები ან ფასიანი ქაღალდები, მესამე მხარის მიერ მისი აქციების შეძენის მიზნით, მათ ამგვარი ტრანზაქციები უნდა დაუქვემდებარონ მე-2-მე-5 პუნქტებით განსაზღვრულ პირობებს.				ას	დირექტივის ეს დებულება დისპოზიციური ხასიათისაა. მისი შესრულება სავალდებულოა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თავად წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობა ანიჭებს კომპანიებს იმ უფლებამოსილებას, რაც დირექტივის 25-ე მუხლშია ჩამოთვლილი.

2. ტრანზაქცია უნდა განხორციელდეს ადმინისტრაციული ან მმართველი ორგანოს ზედამხედველობით, სამართლიანი ბაზრის პირობებში, განსაკუთრებით კომპანიის მიერ მიღებულ პროცენტთან და კომპანიისთვის გაცემულ ფასთან ქაღალდებთან მიმართებით, 1-ელ პუნქტში მითითებული ვალისა და საავანსო დაფინანსებისთვის. მესამე მხარის საკრედიტო ისტორიის ან, მრავალმხრივი ტრანზაქციის შემთხვევაში, ყველა კონტრაქტის საკრედიტო ისტორია სათანადოდ უნდა იქნას გამოკვლეული. 3. ადმინისტრაციულმა ან მმართველმა ორგანოებმა ტრანზაქციები უნდა წარადგინონ საერთო კრებაზე წინასწარ დამტკიცების მიზნით, რა დროსაც, საერთო კრება მოქმედებს 44-ე მუხლით დადგენილი კვორუმისა და უმრავლესობის შესახებ წესების თანახმად. ადმინისტრაციულმა ან მმართველმა ორგანომ საერთო კრებას უნდა წარუდგინოს წერილობითი ანგარიში, რომელშიც მითითებული იქნება: (a) ტრანაქციის განხორციელების მიზეზები; (b) კომპანიის ინტერესი ასეთი ტრანზაქციის განსახორციელებლად; (c) პირობები, რომელთა მიხედვითაც განხორციელდა ტრანზაქცია; (d) ტრანზაქციის განხორციელების რისკები კომპანიის ლიკვიდურობასა და გადახდისუნარიანობასთან მიმართებით; და (e) ღირებულება, რომლითაც ხდება მესამე მხარის მიერ აქციების შეძენა. აღნიშნული ანგარიში გამოსაქვეყნებლად უნდა წარედგინოს რეესტრს, 2009/101/EC დირექტივის მე-3 მუხლის შესაბამისად. 4. მესამე მხარისთვის მინიჭებულმა მთლიანმა ფინანსურმა დახმარებამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოიწვიოს წმინდა აქტივების შემცირება 17(1) და (2) მუხლებში განსაზღვრულ რაოდენობაზე დაბლა, მხედველობაში მიიღება აგრეთვე, წმინდა აქტივების ნებისმიერი შემცირება, რომელიც შეიძლება განხორციელდეს კომპანიის მიერ ან					ზემოაღნიშნულისა და იმის გათვალისწინებით, რომ წარმოდგენილი კანონპროექტი სააქციო საზოგადოებას არ ანიჭებს დირექტივის 25-ე მუხლით დადგენილ უფლებამოსილებას, ამ დებულების ტრანსპოზიცია საქართველოსთვის არ წარმოადგენს სავალდებულო მოთხოვნას.
--	--	--	--	--	--

	კომპანიის სახელით საკუთარი აქციების შეძენის გზით, 21(1) მუხლის შესაბამისად. კომპანიამ საბალანსო დოკუმენტში მითითებულ მოვალეობებს შორის ასევე უნდა შეიტანოს ჯამური ფინანსური დახმარების ოდენობის შესახებ რეზერვი, რომლის განაწილებაც დაუშვებელია. 5. თუ მესამე მხარე, კომპანიის ფინანსური დახმარებით, შეისყიდის ამ კომპანიის კუთვნილ აქციებს 21(1)-ე მუხლით დადგენილი წესის თანახმად ან განათავსებს აქციებს, რომელთა განთავსებაც კაპიტალის გაზრდისას ხორციელდება, ამგვარი შესყიდვა ან განთავსება უნდა განხორციელდეს სამართლიან ფასში. 6. 1-5 პუნქტები არ ვრცელდება ბანკებისა და სხვა საფინანსო ინსტიტუტების მიერ განხორციელებულ ტრანზაქციებზე, ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში, არც იმ ტრანზაქციებზე, რომლებიც განხორციელდა კომპანიის თანამშრომლების მიერ ან კომპანიის თანამშრომლებისთვის, ან ასოცირებული კომპანიის თანამშრომლების მიერ ან მათთვის აქციების შესასყიდად. თუმცა აღნიშნული ტრანზაქციებით წმინდა აქტივების ოდენობა მე-17(1) მუხლით განსაზღვრულ ოდენობაზე მეტად არ უნდა შემცირდეს. 7. მუხლები 1-5 არ ვრცელდება აქციების შესყიდვის მიზნით განხორციელებულ ტრანზაქციებზე, როგორც ეს განსაზღვრულია 22(1)-ე მუხლის (h) პუნქტით.				
26	ისეთ შემთხვევებში, როცა კომპანიის ადმინისტრაციული და მმართველი ორგანოების ცალკეული წევრები, რომლებიც წარმოადგენენ 25(1)-ე მუხლში მითითებული ტრანზაქციის მხარეს ან კონსოლიდირებული ანგარიშების შესახებ ხელშეკრულების 50(2)(გ)-ე მუხლის საფუძველზე 1983 წლის 13 ივნისის საბჭოს მეშვიდე დირექტივის 83/349/EEC მიზნების ფარგლებში დაფუძნებული მშობელი საწარმოს ადმინისტრაციული ან მმართველი ორგანოების ცალკეული წევრები, ან თავად ასეთი მშობელი საწარმო, ან ცალკეული პირები, რომლებიც მოქმედებენ საკუთარი სახელით, მაგრამ აღნიშნული ორგანოების წევრების ან აღნიშნული საწარმოების ინტერესის მიხედვით, წარმოადგენენ აღნიშნული ტრანზაქციის კონტრაპენტებს, წევრმა სახელწიფოებმა, სათანადო გარანტიების საშუალებით უნდა უზრუნველყონ, რომ ასეთი ტრანზაქცია არ მოდიოდეს წინააღმდეგობაში კომპანიის საუკეთესო ინტერესებთან.			ას	იხ. დირექტივის 25-ე მუხლის კომენტარი.

27	1. კომპანიის კუთვნილი აქციების უზრუნველყოფის საშუალებად მიღება, თავად კომპანიის ან საკუთარი სახელით, მაგრამ კომპანიისთვის მოქმედი პირის მიერ, ითვლება შესყიდვად 21-ე, 22(1)-ე, 24-ე და 25-ე მუხლების მიზნებისთვის. 2. წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება გადაწყვიტონ, არ გაავრცელონ 1-ლი პუნქტის მოქმედება ბანკების ან სხვა საფინანსო ინსტიტუტების მიერ განხორციელებულ ტრანზაქციებზე ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში.	№1	163.11	სააქციო საზოგადოების მიერ უშუალოდ, ან ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული პირის მეშვეობით სააქციო საზოგადოების აქციების უზრუნველყოფის საშუალების სახით გამოსაყენებლად დაშვებაზე შესაბამისად ვრცელდება საკუთარი აქციების შეძენის მიმართ ამ მუხლით დადგენილი წესები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც უზრუნველყოფის საშუალებად აქციების გამოყენება ხდება კომერციული ბანკების ან სხვა ფინანსური ინსტიტუტების მიერ ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში.	სშ	
28.1	1. 2009/101/EC დირექტივის 1-ლი მუხლის შესაბამისად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანიაში სხვა კომპანიის მიერ აქციების განთავსება, შესყიდვა ან ფლობა, რომელშიც შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანია პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს ხმის უფლების უმრავლესობას ან, რომელზეც მას შეუძლია პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით მოახდინოს დომინანტური ზეგავლენა, ჩაითვლება თავად შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანიის მიერ განხორციელებულად. პირველი ქვეპუნქტი ასევე გამოიყენება, როცა სხვა კომპანია იმართება მესამე ქვეყნის კანონმდებლობით და მას გააჩნია 2009/101/EC დირექტივის 1-ლი მუხლით ჩამოთვლილი სამართლებრივი ფორმების მსგავსი ფორმა. თუმცა, თუ შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანია არაპირდაპირ ფლობს ხმის უფლების უმრავლესობას ან შეუძლია დომინანტური გავლენის არაპირდაპირი მოხდენა, წევრმა სახელმწიფოებმა არ უნდა გამოიყენონ პირველი და მეორე პუნქტები, თუ ისინი უზრუნველყოფენ სხვა კომპანიის მფლობელობაში არსებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანიის აქციებიდან წარმოშობილი ხმის უფლებების შეჭერებას.	№1	163.12	სააქციო საზოგადოების მიერ სხვა სააქციო საზოგადოებაში ან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში ხმის უფლების მქონე აქციების ან წილების ნახევარზე მეტის ფლობის ან სხვაგვარად დომინანტურ მდგომარეობაში ყოფნის შემთხვევაში, აღნიშნული სააქციო საზოგადოების ან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მიერ სააქციო საზოგადოების წილის შეძენა ან ფლობა განიხილება, როგორც ამ მუხლით გათვალისწინებული საკუთარი აქციის შეძენა და მასზე გავრცელდება შესაბამისი მოწესრიგება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა შემძენი არის ნომინალური მფლობელი და არ მოქმედებს სააქციო საზოგადოების ან იმ საზოგადოების სახელით ან დავალებით რომელშიც სააქციო საზოგადოება ფლობს ხმის უფლების მქონე აქციების ან წილების ნახევარზე მეტს ან იმყოფება სხვამხრივ დომინანტურ მდგომარეობაში.	სშ	
28.2	კომპანიების ჯგუფების შესახებ ეროვნული კანონმდებლობის კოორდინაციის არარსებობის შემთხვევაში, წევრ სახელმწიფოებს უფლება აქვთ: (ა) განსაზღვრონ შემთხვევები, რომლებშიც შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანია ჩაითვლება სხვა კომპანიაზე დომინანტური გავლენის განმახორციელებლად; თუ წევრი სახელმწიფო გამოიყენებს ამ ალტერნატივას, მისი				ას	დირექტივის მოცემული დებულების ტრანსპოზიცია არასავალეულო ხასიათისაა. წარმოდგენილი კანონპროექტი ითვალისწინებს დირექტივის 28.1 მუხლით დადგენილ მოთხოვნებს და არ ეუბნება, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს დომინანტურ მდგომარეობად. დამატებით, 178-ე მუხლი ადგენს აქციონერის მიერ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისა და ზიანის ანაზღაურების

	შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა ნებისმიერ შემთხვევაში უნდა ითვალისწინებდეს, რომ დომინანტური გავლენის მოხდენა შეიძლება განხორციელდეს, თუ შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანიას: — უფლება აქვს თანამდებობაზე დანიშნოს ან თანამდებობიდან გაათავისუფლოს ადმინისტრაციული, მამრთვლი ან საზედამხედველო ორგანოს წევრების უმრავლესობა და თუ ამავედროულად ის სხვა კომპანიის აქციონერი ან წევრია, ან — სხვა კომპანიის აქციონერი ან წევრია და მხოლოდ ის აკონტრლებს თავისი აქციონერების ან წევრების ხმის უფლების უმრავლესობას, აღნიშნული კომპანიის აქციონერებთან ან წევრებთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. წევრ სახელმწიფოები არ არიან ვალდებული, მიიღონ ზომები ნებისმიერი სხვა შემთხვევისთვის, გარდა პირველ და მეორე ქვეპუნქტში მითითებულის შემთხვევებისა; (b) განსაზღვრონ შემთხვევები, რომლებშიც შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანია ჩაითვლება ხმის უფლების არაპირდაპირ მფლობელად ან დომინანტური გავლენის არაპირდაპირ განმხორციელებლად; (c) დეტალურად განსაზღვრონ გარემოებები, რომლებშიც შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანია ჩაითვლება ხმის უფლების მქონედ.				მოვალეობას. ამასთან, იგი არ წარმოადგენს იმპერატიულ დათქმას თავად ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისთვისაც.
28.3	წევრი სახელმწიფოები უფლებამოსილნი არიან არ გამოიყენონ 1-ლი პუნქტის პირველი და მეორე აბზაცები, თუ აქციის განთავსება, შესყიდვა ან ფლობა ხორციელდება ნებისმიერი პირის სახელით, გარდა აქციების განმთავსებელი, შემძენი ან მფლობელი პირისა, რომელიც არ წარმოადგენს არც 1-ელ პუნქტში მითითებულ შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანიას და არც სხვა კომპანიას, რომელშიც შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანია პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს ხმის უფლების უმრავლესობას ან რომელზეც მას პირდაპირ ან არაპირდაპირ შეუძლია დომინანტური გავლენის განხორციელება.			ას	აღნიშნული დებულება არ წარმოადგენს იმპერატიულ დათქმას თავად ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვისაც და არის შესასრულებლად არასავალდებულო ხასიათის. ამდენად, მისი გათვალისწინება საქართველოსთვის არ წარმოადგენს სავალდებულო მოთხოვნას.
28.4	წევრი სახელმწიფოები არ არიან ვალდებული გამოიყენონ 1-ლი პუნქტის პირველი და მეორე აბზაცები, თუ აქციის განთავსება, შესყიდვა ან ფლობა ხორციელდება ფასიანი ქაღალდების პროფესიონალ დილერად მოქმედი მესამე კომპანიის მიერ, იმ შემთხვევაში, თუ დილერი იმ საფონდო			ას	იხ. დირექტივის 28.3 მუხლის კომენტარი მე-7 ველში.

	ბირჟის წევრია, რომელიც მდებარეობს ან ოპერირებს წევრ სახელმწიფოში, ან რომელიც აღიარებულია და ზედამხედველობას უწევს იმ წევრი სახელმწიფოს ორგანო, რომელიც უფლებამოსილია ზედამხედველობა გაუწიოს ფასიანი ქაღალდების პროფესიონალ დილერებს, რომელიც წინამდებარე დირექტივის მიზნებისთვის შესაძლოა საკრედიტო დაწესებულებებსაც გულისხმობდეს.					
28.5	წევრ სახელმწიფოებს უფლება აქვთ არ გამოიყენონ პირველი პუნქტის პირველი და მეორე ქვეპუნქტები, თუ შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანიაში სხვა კომპანიის მფლობელობაში მყოფი აქციები შესყიდული იქნა მანამ, სანამ ამ ორ კომპანიას შორის ურთიერთობა 1-ლი პუნქტით განსაზღვრულ კრიტერიუმებთან მოვიდოდა შესაბამისობაში. თუმცა, აღნიშნული აქციებიდან წარმოშობილი ხმის უფლება ჩერდება და აქციები მხედველობაში მიიღება, როცა დადგინდება, შესრულდა თუ არა 21(1)-ე მუხლის (b) ქვეპუნქტით განსაზღვრული პირობები.				ას	იხ. დირექტივის 28.3 მუხლის კომენტარი მე-7 ველში.
28.6	წევრ სახელმწიფოებს უფლება აქვთ არ გამოიყენონ 22(2) ან (3) მუხლი ან 23-ე მუხლი, თუ შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანიაში აქციები შესყიდულია სხვა კომპანიის მიერ იმ პირობით, რომ იგი უზრუნველყოფს: (a) შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანიაში სხვა კომპანიის მფლობელობაში მყოფი აქციებიდან წარმოშობილი ხმის უფლებების შეჩერება; და (b) შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანიის ადმინისტრაციული ან მმართველი ორგანოს წევრები ვალდებულნი იყვნენ სხვა კომპანიისგან უკან შეისყიდონ 22(2)-ე და (3)-ე მუხლში და ასევე 23-ე მუხლში მითითებული აქციები იმ ღირებულებით, რომელშიც სხვა კომპანიამ შეისყიდა ისინი; აღნიშნული სანქცია არ გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანიის ადმინისტრაციული ან მმართველი ორგანოს წევრები დამტკიცებენ, რომ კომპანიას არავითარი წვლილი არ შეუტანია აღნიშნული აქციების განთავსებაში ან შესყიდვაში.				ას	იხ. დირექტივის 28.3 მუხლის კომენტარი მე-7 ველში.
29.1	კაპიტალის ნებისმიერი გაზრდის გადაწყვეტილებას იღებს საერთო კრება. როგორც აღნიშნული გადაწყვეტილება, ისე განთავსებული კაპიტალის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილება უნდა გამოქვეყნდეს თითოეული წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, 2009/101/EC დირექტივის მე-3 მუხლის შესაბამისად.	№1	165.2	გადაწყვეტილება განთავსებული კაპიტალის ცვლილების შესახებ მიიღება პარტნიორთა კრების მიერ.	სმ	
		№1	165.4	განთავსებული კაპიტალის ცვლილების გადაწყვეტილება ნამდვილია		

				გამოქვეყნების მომენტიდან. ამ მოთხოვნის უზრუნველყოფა ეკისრება სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოს.		
29.2	მიუხედავად ამისა, წესდებით, სადამფუძნებლო დოკუმენტებით ან საერთო კრების გადაწყვეტილებით, რომელი გადაწყვეტილებაც 1-ელ პუნქტში დადგენილი წესების შესაბამისად ქვეყნდება, შესაძლოა გაიცეს განთავსებული კაპიტალის გაზრდის უფლებამოსილება მაქსიმალურ ოდენობამდე, რომელსაც ისინი კანონის თანახმად განსაზღვრავენ. საჭიროების შემთხვევაში, განთავსებული კაპიტალის გაზრდა უნდა გადაწყდეს კომპანის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოს მიერ დადგენილი ოდენობის ფარგლებში. აღნიშნული ორგანოს უფლებამოსილება, ამ მხრივ, არ უნდა აღემატებოდეს ხუთ წელს და შეიძლება განახლდეს საერთო კრების მიერ ერთჯერ ან მეტჯერ, ყოველ ჯერზე არა უმეტეს ხუთი წლის ვადით.	№1	168.1	სააქციო საზოგადოების წესდებით ან პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოს შესაძლოა მიენიჭოს უფლებამოსილება, მიიღოს ახალი აქციების გამოშვების გადაწყვეტილება წესდებით დადგენილ მაქსიმალურ ოდენობამდე. მინიჭებული უფლებამოსილების მაქსიმალური ვადა დგინდება სააქციო საზოგადოების წესდებით და არ უნდა აღემატებოდეს 5 წელს. ასეთი საშუალებით ახალი აქციების გამოშვების მაქსიმალური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ნებადართული აქციების რაოდენობის 50 პროცენტს. თუკი ახალი აქციების გამოშვების ასეთი უფლება მინიჭებულია არა წესდებით, არამედ პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით, ეს გადაწყვეტილება უნდა გამოქვეყნდეს და აისახოს აქციათა რეესტრში.	სშ	
29.3	აქციებისრამდენიმე კლასისარსებობისშემთხვევაში, საერთო კრების გადაწყვეტილება 1-ელ პუნქტში მითითებული კაპიტალის გაზრდასთან ან მე-2 პუნქტში მითითებული კაპიტალის გაზრდის უფლებამოსილებასთან დაკავშირებით, ექვემდებარება განცალკევებულ კენჭისყრას, სულ მცირე აქციათა ყველა იმ კლასისთვის, რომელთა მფლობელების უფლებებზეც აღნიშნული გადაწყვეტილება ახდენს გავლენას.	№1	165.6	განთავსებული კაპიტალის ცვლილებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია განცალკევებული კენჭისყრა აქციათა ყველა იმ კლასისათვის, რომელთა მფლობელების უფლებებზე აღნიშნული გადაწყვეტილება ახდენს გავლენას.	სშ	
29.4	წინამდებარე მუხლი ვრცელდება ყველა იმ უზრუნველყოფის საშუალების გამოცემაზე, რომელთა კონვერტირებაც შესაძლებელია აქციებად ან, რომელთაც მინიჭებული აქვთ აქციების განთავსების უფლება, მაგრამ არ ეხება თავად უზრუნველყოფის საშუალების კონვერტაციას, არც აქციის განთავსების უფლების განხორციელებას.	№1	165.7	ამ მუხლით დადგენილი მოთხოვნები შესაბამისად მოქმედებს აქციად კონვერტირებადი სხვა ფასიანი ქაღალდის გამოშვების შემთხვევაში, მაგრამ არა თავად კონვერტაციაზე.	სშ	
30	განთავსებული კაპიტალის გაზრდის დროს გამოშვებული აქციები, განთავსებამდე უნდა განაღდდეს მათი ნომინალური ღირებულების ან, ნომინალური ღირებულების არარსებობის შემთხვევაში, აქციების საბალანსო ღირებულების სულ მცირე 25 %-ით. როდესაც ხდება	№1	166.3	კაპიტალის გაზრდის დროს გამოშვებული აქციები განთავსების მომენტისთვის უნდა იყოს განაღდებული მათი ნომინალური ღირებულების, ან ნომინალური	სშ	

	აქციების გამოშვება ამ ღირებულებებზე მაღალ ფასად, სხვაობა უნდა იყოს გადახდილი სრულად.			ღირებულების არარსებობის შემთხვევაში ამ კანონის 158-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი ღირებულების სულ მცირე 25 პროცენტით. როცა ხდება აქციების გამოშვება ამ ღირებულებებზე მაღალ ფასად, სხვაობა უნდა იყოს გადახდილი სრულად.		
31.1	თუ განთავსებული კაპიტალის გაზრდის დროს აქციები გაიცემა არაფულადი შენატანის სანაცვლოდ, შენატანი სრულად უნდა იქნას შეტანილი განთავსებული კაპიტალის გაზრდის გადაწყვეტილების მიღებიდან ხუთი წლის ვადაში.	№1	166.4	თუ კაპიტალის გაზრდის დროს აქციები გაიცემა არაფულადი შენატანის სანაცვლოდ, შენატანი სრულად უნდა იქნეს შეტანილი კაპიტალის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან 5 წლის ვადაში. ასეთ შემთხვევაში არაფულადი შენატანი შეფასებული და გამოქვეყნებულ უნდა იქნეს ამ კანონის 155-ე მუხლის მე-9 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით. აქციის გასხვისების მომენტისთვის მასთან დაკავშირებული შეუსრულებელი ვალდებულებებისათვის სააქციო საზოგადოების წინაშე გამსხვისებელი აქციონერი, შემძენთან ერთად, სოლიდარულად აგებს პასუხს, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი წესდებით.	სშ	
31.2	1-ელ პუნქტში მითითებული შენატანი ექვემდებარება შეფასებას, რა დროსაც, ანგარიში უნდა შედგეს ადმინისტრაციული ან სასამართლო ორგანოს მიერ დანიშნული ან დადასტურებული კომპანიისგან დამოუკიდებელი ერთი ან რამდენიმე ექსპერტის მიერ. თითოეული წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად, აღიშნული ექსპერტები შესაძლოა იყვნენ ფიზიკური, ასევე იურიდიული პირები და კომპანიები და ფირმები, გამოიყენება მე-10(2) და (3) და მე-11 და მე-12 მუხლები.	№1	166.4	თუ კაპიტალის გაზრდის დროს აქციები გაიცემა არაფულადი შენატანის სანაცვლოდ, შენატანი სრულად უნდა იქნეს შეტანილი კაპიტალის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან 5 წლის ვადაში. ასეთ შემთხვევაში არაფულადი შენატანი შეფასებული და გამოქვეყნებულ უნდა იქნეს 155-ე მუხლის მე-9 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით. აქციის გასხვისების მომენტისთვის მასთან დაკავშირებული შეუსრულებელი ვალდებულებებისათვის სააქციო საზოგადოების წინაშე გამსხვისებელი აქციონერი, შემძენთან ერთად, სოლიდარულად აგებს პასუხს, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი წესდებით.	სშ	

31.3	წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება გადაწყვიტონ, არ გამოიყენონ მე-2 პუნქტი, როდესაც განთავსებული კაპიტალი იზრდება შერწყმის, გაყოფის ან აქციების შესყიდვის თუ გაცვლის საჯარო შეთავაზების ფარგლებში და იმ კომპანიის აქციონერთა ანაზღაურების მიზნით, რომლის მიერთებაც ან გაყოფაც ხდება, ან, რომელიც წარმოადგენს საჯარო შეთავაზების ობიექტს აქციების შესასყიდად ან გადასაცვლელად. შერწყმის ან გაყოფის შემთხვევაში, წევრმა სახელმწიფოებმა მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა გამოიყენონ პირველი პუნქტით დადგენილი წესი, როცა დგება ერთი ან მეტი დამოუკიდებელი ექსპერტის ანგარიში ან შერწყმის ან გაყოფის პირობების პროექტი. თუ წევრი სახელმწიფოები გადაწყვეტენ, გამოიყენონ მე-2 პუნქტით დადგენილი წესი შერწყმის ან გაყოფის შემთხვევაში, მათ უფლება აქვთ უზრუნველყონ, რომ წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული ანგარიში და ერთი ან მეტი დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ შედგენილი ანგარიში შერწყმის ან გაყოფის პირობების პროექტზე, შეადგინოს ერთმა და იმავე ექსპერტმა ან ექსპერტებმა.	№1	166.5	ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შეფასება არ არის საჭირო, როცა სააქციო საზოგადოების კაპიტალი იზრდება აქციათა საჯარო შეთავაზების ფარგლებში ან შერწყმის/გაყოფის განხორციელებისას მიერთებული/გაყოფილი სამეწარმეო საზოგადოების აქციონერების ანაზღაურების მიზნით და შერწყმის/გაყოფის გეგმა შემოწმებულია დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ ამ კანონის 74-ე მუხლით დადგენილი წესით.	სშ	
		№1	72.1	თუ შერწყმაში/გაყოფაში მონაწილეობს სააქციო საზოგადოება, შერწყმის/გაყოფის გეგმის პროექტს ამოწმებს შერწყმაში/გაყოფაში მონაწილე მხარეების მიერ შერჩეული დამოუკიდებელი აუდიტორი. შერწყმაში/გაყოფაში მონაწილე სააქციო საზოგადოებას შეიძლება ჰყავდეს ერთი ან მეტი საერთო აუდიტორი. აუდიტორი ამზადებს წერილობით დასკვნას პარტნიორებისთვის. დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ შემოწმება და წერილობითი დასკვნის წარდგენა არ არის საჭირო, თუ ამაზე შეთანხმდება შერწყმაში/გაყოფაში მონაწილე სააქციო საზოგადოების ყველა აქციონერი.		
31.4	წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება გადაწყვიტონ, არ გამოიყენონ მე-2 პუნქტით დადგენილი წესი, თუ განთავსებული კაპიტალის გაზრდის პროცესში გამოცემული ყველა აქცია გაიყვანა არაფულადი შენატანის სანაცვლოდ ერთ ან მეტ კომპანიაზე, იმ პირობით, რომ კომპანიის ყველა აქციონერი, ვინც დივიდენდს იღებს, თანხმდება, რომ არ შედგეს ექსპერტის ანგარიში და რომ მე-10(4) მუხლის (b)-(f) პუნქტის მოთხოვნების რულდება.	№1	154 (10 - 12)	10. სააქციო საზოგადოების რეგისტრაციამდე, ნებისმიერ არაფულად შენატანთან დაკავშირებით აქციონერის მიერ შერჩეული დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ უნდა შედგეს ანგარიში, რომელიც უნდა გამოქვეყნდეს ელექტრონული პორტალის მეშვეობით. აუდიტორი შესაძლოა იყოს ფიზიკური ან იურიდიული პირი. 11. აუდიტორის ანგარიში, სულ მცირე, უნდა შეიცავდეს შენატანის შემადგენელი თითოეული აქტივის აღწერას, ისევე როგორც გამოყენებული შეფასების მეთოდებს და უნდა	სშ	

				იუწყებოდეს, შეესაბამება თუ არა აღნიშნული მეთოდების გამოყენებით მიღებული ღირებულება მათი შესაბამისი აქციების ოდენობასა და ნომინალურ ღირებულებას, ხოლო ნომინალური ღირებულების არარსებობისას - ამ კანონის 158-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ ღირებულებას. 12. შერწყმის/გაყოფის შედეგად დაფუძნებული ახალი სამეწარმეო საზოგადოების მიმართ არ გამოიყენება ამ მუხლის მე-9 პუნქტით დადგენილი მოთხოვნა, თუ შერწყმის/გაყოფის გეგმა შემოწმებულია დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ ამ კანონის 72-ე მუხლით დადგენილი წესით.		
32	როცა კაპიტალის ზრდის დროს აქციები არ არის სრულად განთავსებული, კაპიტალი გაიზრდება შენატანების ოდენობით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქციების გამოცემის პირობები ამას ითვალისწინებს.	№1	1.3	სამეწარმეო საზოგადოების წესდებით (შემდგომ - წესდება) ასევე შეიძლება მოწესრიგდეს საკითხები, რომლებიც არ არის მოწესრიგებული ამ კანონით, ან განივრცოს ამ კანონის ის ნორმები, რომლებიც ამომწურავად არ აწესრიგებს მოცემულ საკითხს.	წმ	კანონპროექტის მიხედვით, საკითხის ამგვარი მოწესრიგება შესაძლებელია განხორციელდეს წესდებით.
		№1	1.4	სააქციო საზოგადოების წესდებით ან აქციონერთა შეთანხმებით შეიძლება განისაზღვროს ამ კანონისგან განსხვავებული წესები მხოლოდ კანონით დაშვებულ შემთხვევებსა და ფარგლებში.		
33.1	თუ კაპიტალის გაზრდა ფულადი შენატანის გზით ხდება, აქციების შეთავაზება აქციონერებისთვის უნდა მოხდეს უპირატესი შესყიდვის საფუძველზე, კაპიტალში საკუთარი წილის პროპორციულად.	№1	169.1	ახალი აქციების გამოშვების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში აქციონერს საკუთარი წილის პროპორციულად აქვს ახალი აქციების უპირატესი შესყიდვის უფლება.	სშ	
33.2	წევრისახელმწიფოების კანონმდებლობით: (ა) არ არის აუცილებელი გაავრცელდეს 1-ლი პუნქტით დადგენილი წესი იმ აქციებზე, რომლებიც ითვალისწინებს უფლების შეზღუდვას მე-17 მუხლით გათვალისწინებულ განაწილებაში მონაწილეობისთვის და/ან ლიკვიდაციის შემთხვევაში კომპანიის აქტივებში ჩარევისთვის; ან				ას	აღნიშნული დებულება არ წარმოადგენს იმპერატიულ დათქმას თავად ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვისაც და არის შესასრულებლად არასავალდებულო ხასიათის. ამდენად, მისი გათვალისწინება საქართველოსთვის არ წარმოადგენს სავალდებულო მოთხოვნას.

	(b) შესაძლებელია დაშვებული იყოს, რომ კომპანიის განთავსებულ კაპიტალში ხმის მიცემასთან დაკავშირებული სხვადასხვა უფლების მატარებელი რამდენიმე კლასის აქციების არსებობის შემთხვევაში, ან მე-17 მუხლით გათვალისწინებულ განაწილებაში მონაწილეობისას, ან ლიკვიდაციის შემთხვევაში, აქტივების გაზრდა მხოლოდ ერთ კლასში ახალი აქციების გამოშვებისას, სხვა კლასის აქციონერების უპირატესი შესყიდვის უფლება განხორციელდეს მხოლოდ იმ კლასის აქციონერების უფლების განხორციელების შემდეგ, რომელშიც ახალი აქციების გამოცემა ხდება.					
33.3	უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენების შესახებ ნებისმიერი შეთავაზება და პერიოდი, რა ვადაშიც უნდა მოხდეს აღნიშნული უფლების გამოყენება, უნდა გამოქვეყნდეს ქვეყნის ოფიციალურ ბეჭდვის ორგანოში, 2009/101/EC დირექტივის შესაბამისად. თუმცა, წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობით სავალდებულო არ არის ამგვარი გამოქვეყნების უზრუნველყოფა, თუ კომპანიის ყველა აქცია რეგისტრირებულია. ასეთ შემთხვევაში, კომპანიის ყველა აქციონერს ინფორმაცია უნდა მიეწოდოს წერილობით. უპირატესი შესყიდვის უფლება უნდა განხორციელდეს შეთავაზების გამოქვეყნებიდან ან აქციონერებისთვის წერილების გაგზავნიდან არანაკლებ 14 დღის განმავლობაში.	№1	169.4	სააქციო საზოგადოებამ ხმის უფლების მქონე აქციათა არანაკლებ 1 პროცენტის მფლობელ აქციონერებს აქციათა უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენების შესახებ დაზღვეული წერილით უნდა შეატყობინოს. სააქციო საზოგადოებამ დანარჩენ აქციონერებს აქციათა უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენების შესახებ უნდა შეატყობინოს დაზღვეული წერილით ან ინფორმაციის საკუთარ ვებგვერდზე ან ელექტრონულ პორტალზე გამოქვეყნებით. სააქციო საზოგადოებამ ამ უფლების გამოყენებისთვის აქციონერებს სულ მცირე 14 დღიანი ვადა უნდა მისცეს. ეს ვადა აითვლება შესაბამისი პირისთვის შეტყობინების ჩაბარების ან ინფორმაციის გამოქვეყნების მომენტიდან.	სშ	
33.4	დაუშვებელია წესდებით ან სადამფუძნებლო დოკუმენტებით შეიზღუდოს ან გაუქმდეს უპირატესი შესყიდვის უფლება. თუმცა, ეს შესაძლოა განხორციელდეს საერთო კრების გადაწყვეტილებით. ადმინისტრაციულმა ან მმართველმა ორგანომ აღნიშნულ კრებაზე უნდა წარადგინოს წერილობითი ანგარიში, რომელშიც უნდა მითითდეს უპირატესი შესყიდვის უფლების შეზღუდვის ან გაუქმების საფუძვლები და დასაბუთდეს აქციის გამოშვების შეთავაზებული ღირებულება. საერთო კრებამ უნდა იმოქმედოს 44-ე მუხლით დადგენილი კვორუმისა და უმრავლესობის წესების შესაბამისად. მისი გადაწყვეტილება უნდა გამოქვეყნდეს წევრი სახელმწიფოების მიერ დადგენილი წესით, 2009/101/EC დირექტივის მე-3 მუხლის შესაბამისად.	№1	169.2	უპირატესი შესყიდვის უფლება შეიძლება გაუქმდეს ახალი აქციების გამოშვების შესახებ პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით, რომელიც მიიღება კენჭისყრაში მონაწილე ხმათა უმრავლესობით. ასეთ შემთხვევაში პარტნიორთა კრებაზე წარმოდგენილი უნდა იყოს საერთო ხმათა არანაკლებ 2/3-ის მფლობელი აქციონერები. გადაწყვეტილება შეიძლება მიღებულ იქნეს მხოლოდ ხელმძღვანელი ორგანოს წერილობითი მოხსენების საფუძველზე, რომელშიც უნდა მითითდეს გაუქმების საფუძვლები და დასაბუთდეს აქციის გამოშვების	სშ	

				დირეზულება. პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება უპირატესი შესყიდვის უფლების გაუქმების შესახებ უნდა გამოქვეყნდეს ამ კანონით დადგენილი წესით.		
33.5	წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობით შეიძლება უზრუნველყოს, რომ წესდებით, სადამფუძნებლო დოკუმენტებით ან საერთო კრებით, რომელიც მოქმედებს მე-4 პუნქტით დადგენილი კვორუმის, უმრავლესობისა და გამოქვეყნების შესახებ წესების შესაბამისად, კომპანია მიენიჭოს უპირატესი შესყიდვის უფლების შეზღუდვის ან გაუქმების უფლება კომპანიის იმ ორგანოსთვის, რომელიც უფლებამოსილია გადაწყვიტოს განთავსებული კაპიტალის გაზრდის საკითხი ნებადართული კაპიტალის ფარგლებში. დაუშვებელია ამ უფლებამოსილების მინიჭება იმაზე მეტი ხნით, ვიდრე ეს 29(2)-ე მუხლით არის გათვალისწინებული.				ას	აღნიშნული დებულება არ წარმოადგენს იმპერატიულ დათქმას თავად ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვისაც და არის შესასრულებლად არასავალდებულო ხასიათის. ამდენად, მისი გათვალისწინება საქართველოსთვის არ წარმოადგენს სავალდებულო მოთხოვნას.
33.6	1-5 პუნქტები ვრცელდება იმ ფასიანი ქაღალდების გამოშვებაზე, რომელთა კონვერტაციაც შესაძლებელია აქციებად ან, რომელთაც მინიჭებული აქვთ აქციების განთავსების უფლება, მაგრამ არა ამ ფასიანი ქაღალდებიდან, ასევე, არც განთავსების უფლების გამოყენებაზე.	№1	169.5	ამ მუხლით დადგენილი წესები შესაბამისად მოქმედებს სააქციო საზოგადოების მიერ აქციებში კონვერტაციის ან აქციებზე გადაცვლის უფლების მქონე ფასიანი ქაღალდების გამოშვებაზე ან სასესხო ვალდებულების აღებაზე, თუმცა არა ამ ფასიანი ქაღალდებიდან ან სასესხო ვალდებულებიდან გამომდინარე კონვერტაციის ან გადაცვლის უფლების გამოყენებაზე.	სშ	
33.7	უპირატესი შესყიდვის უფლება არ გამოირიცხება მე-4 და მე-5 პუნქტის მიზნებისთვის, თუ განთავსებული კაპიტალის გაზრდის გადაწყვეტილება ითვალისწინებს აქციების გამოშვებას ბანკების ან სხვა საფინანსო ინსტიტუტებისთვის, იმის გათვალისწინებით, რომ ისინი მიღებულ აქციებს შესთავაზებენ აქციონერებს უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენების მიზნით, 1-ლი და მე-3 პუნქტების შესაბამისად.	№1	169.3	უპირატესი შესყიდვის უფლების გაუქმებად არ ჩაითვლება, თუ ახალი აქციების გამოშვების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება ითვალისწინებს ახალი აქციების გამოშვებას ბანკისთვის ან საბროკერო კომპანიისთვის იმ ვალდებულებით, რომ ის მიღებულ აქციებს შესთავაზებს სააქციო საზოგადოების აქციონერებს უპირატესი უფლების გამოყენების მიზნით.	სშ	
34	განთავსებული კაპიტალის ნებისმიერი შემცირება, გარდა სასაპარტოლოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებულისა, უნდა დაექვემდებაროს სულ მცირე საერთო კრების გადაწყვეტილებას, რომელიც მოქმედებს 44-ე მუხლით დადგენილი კვორუმისა და უმრავლესობის წესების შესაბამისად, მე-40 და 41-ე მუხლების შეუზღუდავად. აღნიშნული გადაწყვეტილება უნდა გამოქვეყნდეს თითოეული წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობით	№1	171.3	გადაწყვეტილება განთავსებული კაპიტალის შემცირების შესახებ და ინფორმაცია განხორციელებული შემცირების თაობაზე უნდა გამოქვეყნდეს და აისახოს აქციათა რეესტრში.	სშ	

	დადგენილი წესით, 2009/101/EC დირექტივის მე-3 მუხლის გათვალისწინებით. კრების მოწვევის შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს სულ მცირე შემცირების მიზანი და მისი განხორციელების გზა.	№1	171.5	გადაწყვეტილება განთავსებული კაპიტალის შემცირების შესახებ მიიღება პარტნიორთა კრებაზე კენჭისყრაში მონაწილე ხმათა 3/4-ის უმრავლესობით. ასეთ შემთხვევაში პარტნიორთა კრებაზე წარმოდგენილი უნდა იყოს საერთო ხმათა არანაკლებ 2/3-ის მფლობელი აქციონერები. გადაწყვეტილება ექვემდებარება განცალკევებულ კენჭისყრას აქციათა ყველა იმ კლასისათვის, რომელზეც აღნიშნული გადაწყვეტილება გავლენას ახდენს. პარტნიორთა კრების მიერ ასეთი გადაწყვეტილება შესაძლოა მიღებულ იქნეს მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს, ხოლო მონისტურ სისტემაში ხელმძღვანელი ორგანოს წინადადების საფუძველზე. პარტნიორთა კრების მოწვევის შესახებ შეტყობინებაში უნდა მიეთითოს განთავსებული კაპიტალის შემცირების მიზანი და განხორციელების მეთოდი.		
35	აქციების რამდენიმე კლასის არსებობის შემთხვევაში, საერთო კრების გადაწყვეტილება, განთავსებული კაპიტალის შემცირების თაობაზე უნდა დაექვემდებაროს განცალკევებულ კენჭისყრას, სულ მცირე აქციათა ყველა იმ კლასისათვის, რომელზეც აღნიშნული გადაწყვეტილება ახდენს გავლენას.	№1	171.5	გადაწყვეტილება განთავსებული კაპიტალის შემცირების შესახებ მიიღება პარტნიორთა კრებაზე კენჭისყრაში მონაწილე ხმათა 3/4-ის უმრავლესობით. ასეთ შემთხვევაში პარტნიორთა კრებაზე წარმოდგენილი უნდა იყოს საერთო ხმათა არანაკლებ 2/3-ის მფლობელი აქციონერები. გადაწყვეტილება ექვემდებარება განცალკევებულ კენჭისყრას აქციათა ყველა იმ კლასისათვის, რომელზეც აღნიშნული გადაწყვეტილება გავლენას ახდენს. პარტნიორთა კრების მიერ ასეთი გადაწყვეტილება შესაძლოა მიღებულ იქნეს მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს, ხოლო მონისტურ სისტემაში ხელმძღვანელი ორგანოს წინადადების საფუძველზე. პარტნიორთა კრების მოწვევის შესახებ შეტყობინებაში უნდა მიეთითოს განთავსებული კაპიტალის შემცირების მიზანი და განხორციელების მეთოდი.	სშ	
36	1. განთავსებული სააქციო კაპიტალის შემცირების შემთხვევაში, სულ მცირე იმ კრედიტორებს, რომელთა მოთხოვნებიც წინ უსწრებდა კაპიტალის შემცირების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გამოქვეყნებას, უნდა ჰქონდეთ	№1	171.8	განთავსებული კაპიტალის შემცირების შედეგად აქციონერისთვის გადახდა ან მათი მთლიანად ან ნაწილობრივ განთავისუფლება განთავსებულ	სშ	

	სულ მცირე უფლება, რომ მიიღონ უზრუნველყოფა იმ მოთხოვნებზე, რომლებიც გადაწყვეტილების გამოქვეყნებამდე წარმოიშვა. წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება გამოიციონ აღნიშნული უფლების განხორციელება, თუ კრედიტორები არ არიან სათანადოდ დაცულნი ან თუ ასეთი დაცვა აუცილებელი არ არის კომპანიის აქტივების გათვალისწინებით. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა განსაზღვრონ პირობები, პირველი პუნქტით გათვალისწინებული უფლების განსახორციელებლად. ნებისმიერ შემთხვევაში, წევრმა სახელმწიფოებმა, სათანადო დაცვის მისაღებად, კრედიტორები უნდა აღჭურვონ ადმინისტრაციული ან სამართლებრივი ორგანოსთვის მიმართვის უფლებით იმ შემთხვევაში, თუ ისინი დამაჯერებლად მოახდენენ იმის დემონსტრირებას, რომ განთავსებული კაპიტალის შემცირების გამო მათი მოთხოვნის დაკმაყოფილებას საფრთხე ემუქრება და, რომ კომპანიისგან სათანადო დაცვა არ მიუღიათ. 2. წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობამ სულ მცირე ასევე უნდა დაადგინოს ის, რომ კაპიტალის შემცირება ბათილად გამოცხადდეს ან, რომ თანხის შედახდა აქციონერების სასარგებლოდ არ განხორციელდეს, სანამ კრედიტორების მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება ან სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას მათი მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის შესახებ. 3. აღნიშნული მუხლი გამოიყენება, როცა განთავსებული კაპიტალის შემცირება გამოწვეულია აქციონერების შენატანის ბალანსის მთლიანი ან ნაწილობრივი გადაუხდელობისგან.			კაპიტალში შენატანის შეტანისგან დაიშვება მხოლოდ განთავსებული კაპიტალის შემცირების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან არანაკლებ 6 თვის შემდეგ, თუ კრედიტორების ის მოთხოვნები, რომლებიც განთავსებული კაპიტალის შემცირების შესახებ გადაწყვეტილების გამოქვეყნებამდე წარმოიშვა, სააქციო საზოგადოების მიერ დაკმაყოფილდა ან თუ სააქციო საზოგადოებამ უზრუნველყო ასეთი მოთხოვნები ან თუ სასამართლომ მათი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. ასეთი დაკმაყოფილება ან მოთხოვნის შესრულების უზრუნველყოფა სააქციო საზოგადოების მიერ კრედიტორებს უნდა მიეცეთ, თუ მათ გადაწყვეტილების გამოქვეყნებიდან 6 თვის განმავლობაში განუცხადეს სააქციო საზოგადოებას აღნიშნულის თაობაზე, გარდა იმ შემთხვევისა თუ სააქციო საზოგადოების აქტივების გათვალისწინებით კრედიტორების დაცვა საჭირო არ არის. კრედიტორები უფლებამოსილნი არიან მოითხოვონ უზრუნველყოფა იმ შემთხვევაში, თუკი მათი მოთხოვნა სააქციო საზოგადოების მიმართ არ არის ვადამოსული. კრედიტორთა ამ უფლებების შესახებ მითითებული უნდა იყოს განთავსებული კაპიტალის შემცირების შესახებ გამოქვეყნებულ გადაწყვეტილებაში.		
37	1. წევრი სახელმწიფოები არ არიან ვალდებული გაავრცელონ 36-ე მუხლი განთავსებული კაპიტალის შემცირებაზე, რომლის მიზანია ზარალის ანაზღაურება ან ფულადი თანხის რეზერვში შეტანა იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ღონისძიების განხორციელების შემდეგ, ასეთი სარეზერვო თანხის ოდენობა არ აღემატება შემცირებული განთავსებული კაპიტალის 10%-ს. გარდა განთავსებული კაპიტალის შემცირების შემთხვევისა, დაუშვებელია აღნიშნული სარეზერვო კაპიტალის აქციონერებზე განაწილება; მისი გამოყენება შეიძლება მხოლოდ მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად ან განთავსებული კაპიტალის გასაზრდელად აღნიშნული რეზერვის კაპიტალიზაციით იმდენად, რამდენადაც წევრი	№1	170	1. სააქციო საზოგადოების წესდებით შეიძლება გათვალისწინებული იქნეს სარეზერვო კაპიტალის შექმნა. სარეზერვო კაპიტალი უნდა შეადგენდეს განთავსებული კაპიტალის სულ მცირე 10 პროცენტს, თუ სააქციო საზოგადოების წესდებით უფრო დიდი ოდენობა არ არის დადგენილი. 2. ვიდრე სარეზერვო კაპიტალის ოდენობა არ მიადწევს წესდებით განსაზღვრულ ზღვარს, სააქციო საზოგადოება ვალდებულია, წლიური წმინდა მოგებიდან სარეზერვო	სშ	

	სახელმწიფოები დაუშვებენ აღნიშნული ოპერაციის განხორციელებას. 2. 1-ელ პუნქტში მითითებულ შემთხვევებში, წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობამ სულ მცირე უნდა უზრუნველყოს აუცილებელი ზომები იმისთვის, რომ განთავსებული კაპიტალის შემცირებიდან გამომდინარე თანხა არ იქნეს გამოყენებული აქციონერების ანაზღაურებისთვის ან განაწილებისთვის, ან შენატანის განხორციელების ვალდებულებისგან გასათავისუფლებლად.			კაპიტალში ყოველწლიურად გადაიტანოს სახსრები, რომლის ოდენობაც დგინდება პარტნიორთა კრების მიერ და რომელიც არ უნდა იყოს წლიური წმინდა მოგების 5 პროცენტზე ნაკლები. 3. სარეზერვო კაპიტალი განკუთვნილია სააქციო საზოგადოების გასული სამეურნეო წლის ზარალის ან ზარალის ნაშთის დაფარვისთვის და სააქციო საზოგადოების აქციათა გამოსყიდვისთვის, იმ შემთხვევაში, თუკი სააქციო საზოგადოებას სხვა სახსრები არ აქვს.		
38	დაუშვებელია განთავსებული კაპიტალის შემცირება მე-6 მუხლით გათვალისწინებული მინიმალური კაპიტალის რაოდენობაზე მეტად.	№1	171.7. „ა“	სააქციო საზოგადოებას უფლება არ აქვს მიიღოს განთავსებული კაპიტალის შემცირების შესახებ გადაწყვეტილება, თუ: ა) შემცირების შედეგად განთავსებული კაპიტალი ამ კანონის 158-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ ოდენობას ვერ აკმაყოფილებს;	სშ	
	თუმცა წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება დაუშვან ასეთი შემცირება, იმ შემთხვევაში, თუ ისინი უზრუნველყოფენ, რომ განთავსებული კაპიტალის შემცირების გადაწყვეტილება ძალაში შევა მხოლოდ მაშინ, როცა განთავსებული კაპიტალი გაიზრდება სულ მცირე დადგენილ მინიმალურ ოდენობამდე.				ას	აღნიშნული დებულება არ წარმოადგენს იმპერატიულ დათქმას თავად ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვისაც და არის შესასრულებლად არასავალდებულო ხასიათის. ამდენად, მისი გათვალისწინება საქართველოსთვის არ წარმოადგენს სავალდებულო მოთხოვნას.

39.(a)	თუ წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობით ნებადართულია განთავსებული კაპიტალის მთლიანი ან ნაწილობრივი გამოსყიდვა, ამ უკანასკნელის შეუმცირებლად, მათ სულ მცირე უნდა მოითხოვონ შემდეგი პირობების დაკმაყოფილება: (a) თუ წესდებებით ან სადამფუძნებლო დოკუმენტებით გათვალისწინებულია გამოსყიდვა, ამ უკანასკნელზე გადაწყვეტილება მიიღება საერთო კრების მიერ კენჭისყრის საფუძველზე, სულ მცირე კვორუმისა და უმრავლესობის სტანდარტული პირობების თანახმად; თუ წესდებებით ან სადამფუძნებლო დოკუმენტებით არ არის გათვალისწინებული გამოსყიდვა, ამ უკანასკნელზე გადაწყვეტილება მიიღება საერთო კრების მიერ, რომელიც მოქმედებს სულ მცირე 44-ე მუხლით დადგენილი კვორუმისა და უმრავლესობის პირობებით; გადაწყვეტილება უნდა გამოქვეყნდეს თითოეული წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, 2009/101/EC დირექტივის მე-3 მუხლის შესაბამისად;	№1	163.3.„ა“	სააქციო საზოგადოების მიერ საკუთარი აქციის გამოსყიდვა დასაშვებია შემდეგი პირობების დაცვით: ა) პარტნიორთა კრების ნებართვით. ამ შემთხვევაში საკუთარი აქციის გამოსყიდვის შესახებ გაცემული ნებართვა უნდა შეიცავდეს გამოსასყიდი აქციების მაქსიმალურ ოდენობას, ნებართვის მოქმედების პერიოდს არაუმეტეს 5 წლის ვადით და, სასყიდლიანი გამოსყიდვის შემთხვევაში, გამოსყიდვის მინიმალურ და მაქსიმალურ ფასს;	სშ	
		№1	197	1. პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებები მიიღება კენჭისყრაში მონაწილე ხმათა უმრავლესობით, თუ ამ კანონით ან სააქციო საზოგადოების წესდებით არ არის გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღება ხმათა უფრო მაღალი უმრავლესობით. 2. კენჭისყრა შეიძლება ჩატარდეს აქციათა კლასების მიხედვით ცალ-ცალკე. 3. წესდების ცვლილება მიღებულ უნდა იქნეს კენჭისყრაში მონაწილეთა ხმათა 3/4-ის უმრავლესობით, თუ წესდებით უფრო მაღალი უმრავლესობა არ არის გათვალისწინებული.		
39.(b)	გამოსყიდვის მიზნებისთვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ის თანხა, რომელიც მე-17(1)-(4) მუხლებითაა გათვალისწინებული განაწილებისთვის;	№1	163.3. „ბ“	სააქციო საზოგადოების მიერ საკუთარი აქციის გამოსყიდვა დასაშვებია შემდეგი პირობების დაცვით: ბ) საკუთარი აქციების გამოსყიდვამ არ უნდა გამოიწვიოს სააქციო საზოგადოების წმინდა აქტივის შემცირება სააქციო საზოგადოების ბოლო დამტკიცებული საფინანსო წლის ფინანსური ანგარიშგების მიხედვით განთავსებული კაპიტალის თანხის ოდენობაზე ნაკლებ ოდენობამდე, ასევე კანონით ან წესდებით გათვალისწინებული იმ რეზერვების ჯამის ოდენობაზე ნაკლებ ოდენობამდე, რომელთა აქციონერებზე განაწილება დაუშვებელია.	სშ	

39. (c)	აქციონერები, რომელთა აქციების გამოსყიდვაც ხდება, ინარჩუნებენ თავიანთ უფლებებს კომპანიაში, იმ უფლებების გარდა, რომლებიც ითვალისწინებს მათი ინვესტიციების დაფარვას და გამოუსყიდავ აქციებზე საწყისი დივიდენდის განაწილებაში მონაწილეობას.	№1	181.1	აქციონერს უფლება აქვს, ამ მუხლით დადგენილი წესით სააქციო საზოგადოებას მოსთხოვოს თავისი აქციების შეფასება და გამოსყიდვა, თუ მან პარტნიორთა კრებაზე მხარი არ დაუჭირა ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც გაუმართლებლად და არსებითად ლახავს აქციონერის უფლებებს ან ეხება სააქციო საზოგადოების რეორგანიზაციას. სააქციო საზოგადოების წესდება შეიძლება დეტალურად აწესრიგებდეს აქციების შეფასებასა და გამოსყიდვასთან დაკავშირებულ საკითხებს.	წმ	კანონპროექტის მიხედვით, საკითხის ამგვარი მოწესრიგება შესაძლებელია განხორციელდეს წესდებით.
40.1. (a)	თუ წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობა ნებას დართავს კომპანიებს შეამცირონ თავიანთი სააქციო კაპიტალი აქციების იძულებითი გაუქმებით, მათ უნდა მოითხოვონ, სულ მცირე, შემდეგი პირობების დაკმაყოფილება: (a) იძულებით გაუქმება დადგენილი ან დაშვებული უნდა იყოს წესდებებით ან სადამფუძნებლო დოკუმენტებით მანამ, სანამ მოხდება ამოსადები აქციების განთავსება;	№1	172.2	განთავსებული აქციის იძულებით გაუქმება დასაშვებია, თუ ეს აქციის განთავსებამდე პირდაპირ გათვალისწინებულია ან ნებადართულია წესდებით. თუ წესდებით ნებადართულია მხოლოდ აქციის იძულებით გაუქმება, აქციები იძულებით უქმდება პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა იძულებით გაუქმებას ერთხმად ეთანხმებიან ის აქციონერები, რომელთაც ეხებათ ეს გადაწყვეტილება.	სმ	
40.1. (b)	თუ იძულებით გაუქმების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭება დაშვებულია მხოლოდ წესდებებით ან სადამფუძნებლო დოკუმენტებით, აღნიშნული უნდა გადაწყდეს საერთო კრების მიერ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ამგვარ იძულებით გაუქმებას ერთხმად ეთანხმებიან ის აქციონერები, რომელთაც ეხებათ ეს გადაწყვეტილება;	№1	172.2	განთავსებული აქციის იძულებით გაუქმება დასაშვებია, თუ ეს აქციის განთავსებამდე პირდაპირ გათვალისწინებულია ან ნებადართულია წესდებით. თუ წესდებით ნებადართულია მხოლოდ აქციის იძულებით გაუქმება, აქციები იძულებით უქმდება პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა იძულებით გაუქმებას ერთხმად ეთანხმებიან ის აქციონერები, რომელთაც ეხებათ ეს გადაწყვეტილება.	სმ	

40.1. (c)	აქციების იძულებით გაუქმების შესახებ კომპანიის გადაწყვეტილების მიმღები ორგანო, ადგენს შესაბამის პირობებსა და მეთოდს, თუ ეს პირობები და მეთოდი წესდებებით ან სადამფუძნებლო დოკუმენტებით უკვე არ არის დადგენილი;	№1	172 (1 და 2)	1. სააქციო საზოგადოების პარტნიორთა კრება უფლებამოსილია კაპიტალის შემცირების მიზნით გააუქმოს სააქციო საზოგადოების ან იმ მესამე პირის, გამოსყიდული აქციები, რომელიც მოქმედებს საკუთარი სახელით და სააქციო საზოგადოების დავალებით, ასევე იძულებით გააუქმოს განთავსებული აქციები. იმ შემთხვევაში თუ წესდებით არ არის დადგენილი აქციების გაუქმების პირობები და პროცედურა, ისინი განისაზღვრება პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით. 2. განთავსებული აქციის იძულებით გაუქმება დასაშვებია, თუ ეს აქციის განთავსებამდე პირდაპირ გათვალისწინებულია ან ნებადართულია წესდებით. თუ წესდებით ნებადართულია მხოლოდ აქციის იძულებით გაუქმება, აქციები იძულებით უქმდება პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა იძულებით გაუქმებას ერთხმად ეთანხმებიან ის აქციონერები, რომელთაც ეხებათ ეს გადაწყვეტილება.	სშ	
40.1. (d)	36-ე მუხლით დადგენილი წესები ვრცელდება იმ აქციებზე, რომელთა შენატანიც არ არის სრულად განხორციელებული, რომლებიც კომპანიას გადაეცემა უსასყიდლოდ ან გაუქმებისთვის კომპენსაციის გადახდა ხორციელდება მე-17(1)-(4) მუხლის შესაბამისად განაწილებისთვის ხელმისაწვდომი თანხებით; ასეთ შემთხვევებში, გაუქმებული აქციების ნომინალური ან, ასეთის არარსებობის შემთხვევაში, საბალანსო ღირებულების ტოლი თანხა შეტანილი უნდა იქნას რეზერვში; განთავსებული კაპიტალის შემცირების შემთხვევების გარდა, დაუშვებელია აღნიშნული რეზერვის აქციონერებზე განაწილება; აღნიშნული რეზერვის გამოყენება დასაშვებია, მხოლოდ სააქციო საზოგადოების ზარლის დაფარვის ან განთავსებული კაპიტალის გაზრდის მიზნით, რამდენადაც წვერი სახელმწიფო უშვებენ აღნიშნული დონისძიების განხორციელებას; და	№1	172 (5 და 6)	5. ამ კანონის 171-ე მუხლის მე-8 პუნქტით დადგენილი წესები არ ვრცელდება იმ აქციებზე, რომელთა შენატანიც სრულად არის განხორციელებული, თუ: ა) აქციები სააქციო საზოგადოებას გადაეცემა უსასყიდლოდ; ბ) აქციების გაუქმებისთვის კომპენსაციის გადახდა ხორციელდება ამ კანონის 183-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით დაშვებული თანხის ფარგლებში. 6. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში სააქციო საზოგადოებამ უნდა შექმნას რეზერვი გაუქმებული აქციების ნომინალური ან ასეთის არარსებობის	სშ	

				შემთხვევაში ამ კანონის 158-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი ღირებულების ოდენობით, რომელიც არ შეიძლება განაწილდეს აქციონერებზე, აღნიშნული რეზერვის გამოყენება დასაშვებია, მხოლოდ სააქციო საზოგადოების ზარალის დაფარვის ან განთავსებული კაპიტალის გაზრდის მიზნით.		
40.1. (e)	იძულებით გაუქმების გადაწყვეტილება უნდა გამოქვეყნდეს თითოეული წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, 2009/101/EC დირექტივის მე-3 მუხლის შესაბამისად.	№1	172.3	აქციის გაუქმებაზე ვრცელდება წესები კაპიტალის შემცირების შესახებ, ამ მუხლის თავისებურებათა გათვალისწინებით.	სშ	
		№1	171.3	გადაწყვეტილება განთავსებული კაპიტალის შემცირების შესახებ და ინფორმაცია განხორციელებული შემცირების თაობაზე უნდა გამოქვეყნდეს და აისახოს აქციათა რეესტრში.		
40.2	34(1)-ე, 35-ე, 37-ე და 44-ე მუხლები არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, რომლებსაც მიემართება წინამდებარე მუხლის 1-ლი პუნქტი.	№1	172.7	აქციების გაუქმების გზით კაპიტალის შემცირების მიმართ არ გამოიყენება ამ კანონის 171-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები.	სშ	
41.1	სააქციო კაპიტალის შემცირების მიზნით, საერთო კრება უფლებამოსილია იძულებით გააუქმოს აქციები. რომელიც ეკუთვნის კომპანიას ან მესამე პირს, რომელიც მოქმედებს საკუთარი სახელით, თუმცა კომპანიის დავალებით.	№1	172.1	სააქციო საზოგადოების პარტნიორთა კრება უფლებამოსილია კაპიტალის შემცირების მიზნით გააუქმოს სააქციო საზოგადოების ან იმ მესამე პირის, გამოსყიდული აქციები, რომელიც მოქმედებს საკუთარი სახელით და სააქციო საზოგადოების დავალებით, ასევე იძულებით გააუქმოს განთავსებული აქციები. იმ შემთხვევაში თუ წესდებით არ არის დადგენილი აქციების გაუქმების პირობები და პროცედურა, ისინი განისაზღვრება პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით.	სშ	
41.2	36-ე მუხლით დადგენილი წესები ვრცელდება იმ აქციებზე, რომელთა შენატანიც არ არის სრულად განხორციელებული, რომლებიც კომპანიას გადაეცემა უსასყიდლოდ ან გადახდა ხორციელდება მე-17(1)-(4) მუხლის შესაბამისად, განაწილებისთვის ხელმისაწვდომი თანხებით; ასეთ შემთხვევებში, გაუქმებული აქციების ნომინალური ან, ასეთის არარსებობის შემთხვევაში, საბალანსო ღირებულების ტოლი თანხა შეტანილი უნდა იქნას რეზერვში. განთავსებული კაპიტალის შემცირების შემთხვევების გარდა,	№1	172.5	ამ კანონის 171-ე მუხლის მე-8 პუნქტით დადგენილი წესები არ ვრცელდება იმ აქციებზე, რომელთა შენატანიც სრულად არის განხორციელებული, თუ: ა) აქციები სააქციო საზოგადოებას გადაეცემა უსასყიდლოდ; ბ) აქციების გაუქმებისთვის კომპენსაციის გადახდა ხორციელდება	სშ	აქციების გაუქმებაზე, მათ შორის, იძულებით გაუქმებაზეც გავრცელდება კანონპროექტის 174-ე მუხლი, ამიტომ დირექტივის მე-40 და 41-ე მუხლების მოთხოვნები კანონპროექტის ერთი და იგივე პუნქტებით სრულდება.

	დაუშვებელია აღნიშნული რეზერვის აქციონერებზე განაწილება. აღნიშნული რეზერვის გამოყენება დასაშვებია, მხოლოდ სააქციო საზოგადოების ზარალის დაფარვის ან განთავსებული კაპიტალის გაზრდის მიზნით, რამდენადაც წევრი სახელმწიფო უშვებენ აღნიშნული ღონისძიების განხორციელებას.	№1	172.6	ამ კანონის 183-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით დაშვებული თანხის ფარგლებში. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში სააქციო საზოგადოებამ უნდა შექმნას რეზერვი გაუქმებული აქციების ნომინალური ან ასეთის არარსებობის შემთხვევაში ამ კანონის 158-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი ღირებულების ოდენობით, რომელიც არ შეიძლება განაწილდეს აქციონერებზე, აღნიშნული რეზერვის გამოყენება დასაშვებია, მხოლოდ სააქციო საზოგადოების ზარალის დაფარვის ან განთავსებული კაპიტალის გაზრდის მიზნით.		
41.3	3. 35-ე, 37-ე და 44-ე მუხლები არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, რომლებსაც მიემართება წინამდებარე მუხლის 1-ლი პუნქტი.	№1	172.7	აქციების გაუქმების გზით კაპიტალის შემცირების მიმართ არ გამოიყენება ამ კანონის 171-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები.	სშ	
42	39-ე მუხლით, მე-40(1) მუხლის (b) პუნქტითა და 41(1)-ე მუხლით განსაზღვრულ შემთხვევებში, სხვადასხვა კლასის აქციების არსებობის შემთხვევაში, საერთო კრების გადაწყვეტილება განთავსებული კაპიტალის გამოსყიდვასთან ან აქციების გაუქმებით მის შემცირებასთან დაკავშირებით, ექვემდებარება განცალკევებულ კენჭისყრას, სულ მცირე ყველა იმ კლასის აქციონერისთვის, ვის უფლებებზეც აღნიშნული გადაწყვეტილება ახდენს გავლენას.	№1	172.4	თუ სააქციო საზოგადოებას გამოშვებული აქვს სხვადასხვა კლასის აქციები, აქციების გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას კენჭი ეყრება აქციათა ყველა კლასის მფლობელთათვის ცალ-ცალკე, თუ მათ უფლებებზე გავლენას ახდენს ეს გადაწყვეტილება. შესაბამისად გამოიყენება ამ კანონის 39-ე მუხლის პირველი პუნქტი და 199-ე მუხლი.	სშ	
43	თუ წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობა უფლებამოსილებას ანიჭებს კომპანიებს, გამოსცენ გამოსყიდვადი აქციები, მათ უნდა მოითხოვონ, რომ ასეთი აქციების გამოსყიდვისას დაკმაყოფილდეს სულ მცირე შემდეგი პირობები: (a) გამოსყიდვის შესაძლებლობა დაწესებული უნდა იყოს კომპანიის წესდებითა და სადამფუძნებლო დოკუმენტებით, მანამ, სანამ მოხდება გამოსყიდვას დაქვემდებარებული აქციების განთავსება; (b) აქციებზე შენატანი სრულად უნდა იყოს განხორციელებული;				ას	კანონპროექტი, ისევე როგორც საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა, არ იცნობს მსგავს სამართლებრივმოწესრიგებას.

	(c) გამოსყიდვის პირობები და მეთოდი უნდა განისაზღვროს კომპანიის დებულებებითა და სადამფუძმნებლო დოკუმენტებით; (d) გამოსყიდვა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ გასანაწილებისთვის ხელმისაწვდომი თანხების გამოყენებით, მე-17(1)-(4) მუხლის შესაბამისად, ან აღნიშნული გამოსყიდვის განხორციელების მიზნით ახალი აქციები გამოშვებით მიღებული შემოსავლით; (e) გამოსყიდული აქციების ნომინალური ან, მისი არარსებობის შემთხვევაში, აქციის საბალანსო ღირებულების ტოლი თანხა შეტანილი უნდა იქნას რეზერვში, რომლის აქციონერებზე განაწილებაც დაუშვებელია, გარდა განთავსებული კაპიტალის შემცირების შემთხვევისა; ის შეიძლება გამოყენებული იქნას მხოლოდ განთავსებული კაპიტალის გასაზრდელად, რეზერვის კაპიტალიზაციით; (f) (e) პუნქტი არ ვრცელდება აქციის გამოსყიდვაზე, რომელიც ხორციელდება ახალი აქციების გამოშვებით მიღებული შემოსავლის გამოყენებით, აღნიშნული გამოსყიდვის განხორციელების მიზნით; (g) იმ შემთხვევაში, როდესაც აქციონერებისთვის პრემიის გადახდა გათვალისწინებულია აქციების გამოსყიდვის შედეგად, პრემია გადახდილი უნდა იქნას მხოლოდ განაწილებისთვის ხელმისაწვდომი თანხებიდან, მე-17(1)-(4) მუხლის შესაბამისად, ან რეზერვიდან, გარდა წინამდებარე მუხლის (e) პუნქტში მითითებულისა, რომლის აქციონერებზე დაუშვებელია, გარდა იმ განთავსებული კაპიტალის შემცირების შემთხვევისა; აღნიშნული რეზერვის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ განთავსებული კაპიტალის გაზრდის მიზნით რეზერვის კაპიტალიზაციისას, ან მე-3 მუხლის (j) პუნქტში გათვალისწინებული ხარჯების, ან აქციების გამოცემის, ან სასესხო ვალდებულებების დასაფარად, ან გამოსყიდვას დაქვემდებარებული აქციების, ან ობლიგაციის მფლობელებისთვის პრემიის გადასახდელად. (h) გამოსყიდვის შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება თითოეული წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, 2009/101/EC დირექტივის მე-3 მუხლის შესაბამისად.					
44	წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობამ უნდა უზრუნველყოს, რომ 33(4)-ე და (5)-ე, ასევე 34-ე, 35-ე, 39-ე და 42-ე მუხლებში მითითებული გადაწყვეტილებები მიღებული იქნას აქციებიდან ან წარმოდგენილი განთავსებული	№1	169.4	სააქციო საზოგადოებამ ხმის უფლების მქონე აქციათა არანაკლებ 1 პროცენტის მფლობელ აქციონერებს აქციათა უპირატესი შესყიდვის უფლების	სშ	

	კაპიტალიდან გამომდინარე ხმის უფლებით, არანაკლებ ორი-მესამედის უმრავლესობით. თუმცა, წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობით შეიძლება განისაზღვროს, რომ პირველი აზრით დადგენილი უბრალო უმრავლესობა საკმარისია იმ შემთხვევაში, როდესაც განთავსებული კაპიტალის სულ მცირე ნახევარია წარმოდგენილი.	№1	171.5	გამოყენების შესახებ დაზღვეული წერილით უნდა შეატყობინოს. სააქციო საზოგადოებამ დანარჩენ აქციონერებს აქციათა უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენების შესახებ უნდა შეატყობინოს დაზღვეული წერილით ან ინფორმაციის საკუთარ ვებგვერდზე ან ელექტრონულ პორტალზე გამოქვეყნებით. სააქციო საზოგადოებამ ამ უფლების გამოყენებისთვის აქციონერებს სულ მცირე 14 დღიანი ვადა უნდა მისცეს. ეს ვადა აითვლება შესაბამისი პირისთვის შეტყობინების ჩაბარების ან ინფორმაციის გამოქვეყნების მომენტიდან. გადაწყვეტილება განთავსებული კაპიტალის შემცირების შესახებ მიიღება პარტნიორთა კრებაზე კენჭისყრაში მონაწილე ხმათა 3/4-ის უმრავლესობით. ასეთ შემთხვევაში პარტნიორთა კრებაზე წარმოდგენილი უნდა იყოს საერთო ხმათა არანაკლებ 2/3-ის მფლობელი აქციონერები. გადაწყვეტილება ექვემდებარება გაცალკევებულ კენჭისყრას აქციათა ყველა იმ კლასისათვის, რომელზეც აღნიშნული გადაწყვეტილება გავლენას ახდენს. პარტნიორთა კრების მიერ ასეთი გადაწყვეტილება შესაძლოა მიღებულ იქნეს მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს, ხოლო მონისტურ სისტემაში ხელმძღვანელი ორგანოს წინადადების საფუძველზე. პარტნიორთა კრების მოწვევის შესახებ შეტყობინებაში უნდა მიეთითოს განთავსებული კაპიტალის შემცირების მიზანი და განხორციელების მეთოდი.		
45	1. წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება არ გაითვალისწინონ მე-9 მუხლის პირველი აზრით, ასევე 21(1)-ე მუხლის (ა) ქვეპუნქტის პირველი წინადადებითა და 29-ე, 30-ე და 33-ე მუხლებით დადგენილი წესები იმდენად, რამდენადაც ასეთი გადახვევა აუცილებელია იმ დებულებების მისაღებად ან გასაგრძელებლად, რომლებიც გულისხმობს საწარმოების კაპიტალში დასაქმებულების ან ეროვნული კანონმდებლობით განსაზღვრული პირთა სხვა ჯგუფების ჩართულობის წასახალისებას.			ას	აღნიშნული დებულება არ წარმოადგენს იმპერატიულ დათქმას თავად ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვისაც და არის შესასრულებლად არასავალდებულო ხასიათის. ამდენად, მისი გათვალისწინება საქართველოსთვის არ წარმოადგენს სავალდებულო მოთხოვნას.	

	2. წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება გადაწყვიტონ, არ გამოიყენონ 21(1)-ე მუხლის (a) ქვეპუნქტის პირველი წინადადება და 34-ე, 35-ე, 40-ე, 41-ე, 42-ე და 43-ე მუხლები იმ კომპანიებთან მიმართებით, რომლებიც დაფუძნებულია სპეციალური კანონის საფუძველზე, რომლებიც გამოსცემენ, როგორც კაპიტალურ, ისე მშრომელთა აქციებს, რომელთაგანაც უკანასკნელი გამოიცემა კომპანიის თანამშრომლებზე, როგორც ორგანოზე, რომლებიც წარმოდგენილი არიან აქციონერთა საერთო კრებაზე, ხმის მიცემის უფლების მქონე წარმომადგენლების სახით. 3. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ამ დირექტივის მე-10, მე-19(1), 29(1),(2) და (3)-ე მუხლები და 31(2)-ე მუხლის პირველი ქვეპუნქტი, 33-36-ე და 40-ე, 41-ე და 42-ე მუხლები არ გავრცელდეს ევროპარლამენტისა და საბჭოს 2014/59/EU დირექტივის IV თავით გათვალისწინებული რეზოლუციის ინსტრუმენტების, უფლებამოსილებისა და მექანიზმების გამოყენების შემთხვევებზე.					
46	წინამდებარე დირექტივის განსახორციელებლად, წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობამ უნდა უზრუნველყოს თანაბარ პირობებში მყოფი ყველა აქციონერის თანასწორი მოპყრობა.	№1	36	1. პარტნიორმა, თავისი უფლებების განხორციელებისას, მხედველობაში უნდა მიიღოს სამეწარმეო საზოგადოებისა და დანარჩენ პარტნიორთა კანონიერი ინტერესები და უფლებები. 2. თანაბარ პირობებში პარტნიორებს თანაბარი უფლება-მოვალეობები აქვთ. ამ პრინციპიდან გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი კანონით ან წესდებით არის პირდაპირ გათვალისწინებული და აუცილებელია სამეწარმეო საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე. 3. წესდებით შესაძლებელია პარტნიორთა შენატანებისაგან დამოუკიდებლად განისაზღვროს წილები და განსხვავებული უფლება-მოვალეობები.	სშ	
47	1. წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება გადაწყვიტონ, არ გაავრცელონ მე-3 მუხლის (g), (i), (j) და (k) პუნქტები იმ კომპანიებთან მიმართებით, რომლებიც უკვე დაფუძნებულია იმ კანონების, რეგულაციებისა და ადმინისტრაციული დებულებების ძალაში შესვლის თარიღისთვის, რომლებიც მიღებულია 77/91/EEC დირექტივასთან შესაბამისობის დასადგენად.				ას	აღნიშნული მიემართება მხოლოდ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს და თავის მხრივ, დანაწესი, არ წარმოადგენს იმპერატიულ მოთხოვნას. ამდენად, დანაწესი საქართველოსთვის, როგორც მესამე სახელმწიფოსთვის, არარელევანტურია.

	2. წევრმა სახელმწიფოებმა კომისიას უნდა გააცნონ ეროვნული კანონმდებლობის იმ ძირითად დებულებათა ტექსტი, რომელსაც ისინი მიიღებენ წინამდებარე დირექტივით გათვალისწინებულ სფეროში.					
48	77/91/EEC დირექტივა, რომელიც შესწორებულია II დანართის A ნაწილში ჩამოთვლილი აქტებით, უქმდება წევრი სახელმწიფოების იმ ვალდებულებების შეუზღუდავად, რომლებიც უკავშირდება კანონის შიდასახელმწიფოებრივი ტრანსპოზიციის ვადებსა და II დანართის B ნაწილით განსაზღვრული დირექტივების გამოყენებას. მითითებები გაუქმებულ დირექტივაზე განიმარტება, როგორც მითითებები წინამდებარე დირექტივაზე და იკითხება III დანართში მითითებული კორელაციის ცხრილის შესაბამისად.				ას	აღნიშნული მიემართება მხოლოდ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს და მისი გათვალისწინება საქართველოსთვის, როგორც მესამე სახელმწიფოსთვის, არარელევანტურია.
49	წინამდებარე დირექტივა ძალაში შედის ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში მისი გამოქვეყნებიდან მე-20 დღეს.				ას	აღნიშნული მიემართება მხოლოდ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს და მისი გათვალისწინება საქართველოსთვის, როგორც მესამე სახელმწიფოსთვის, არარელევანტურია.
50	წინამდებარე დირექტივა ვრცელდება წევრ სახელმწიფოებზე.				ას	აღნიშნული დებულება მიემართება მხოლოდ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს.
დანართი I	1(1)-ლი მუხლის პირველ ქვეპუნქტში მითითებული კომპანიების ტიპები – ბელგია: société anonyme/naamloze vennootschap; – ბულგარეთი: акционерно дружество; – ჩეხეთის რესპუბლიკა; akciová společnost; – დანია; aktieselskab; – გერმანია: Aktiengesellschaft; – ესტონეთი:				ას	დანართი I ჩამოთვლის ევროკავშირის წევრ ქვეყნებში მოქმედ იმ კომპანიის ტიპებს, რომელზეც ვრცელდება წინამდებარე დირექტივა. აღსანიშნავია, რომ დირექტივის მოქმედება ვრცელდება შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანიებზე. ასეთი ტიპის კომპანიას საქართველოში წარმოადგენს სააქციო საზოგადოება. შესაბამისად, დირექტივის დებულებების შესრულება უზრუნველყოფილია სააქციო საზოგადოების მიმართ შესაბამისი მოთხოვნების დადგენით.

	aktsiaselts; – ირლანდია: public company limited by shares, public company limited by guarantee and having a share capital; – საბერძნეთი ανώνυμη εταιρία; – ესპანეთი; sociedad anónima; – საფრანგეთი: société anonyme; – ხორვატია dioničko društvo; – იტალია: società per azioni; – კვიპროსი: δημόσιες εταιρείες περιορισμένης ευθύνης με μετοχές, δημόσιες εταιρείες περιορισμένης ευθύνης με εγγύηση που διαθέτουν μετοχικό κεφάλαιο; – ლატვია: akciju sabiedrība; – ლიეტუვა: akcinė bendrovė; – ლუქსემბურგი:					
--	---	--	--	--	--	--

	société anonyme; – უნგრეთი: nyilvánosan működő részvénytársaság; – მალტა: kumpanija pubblika/public limited liability company; – ნიდერლანდები: naamloze vennootschap; – ავსტრია: Aktiengesellschaft; – პოლონეთი: spółka akcyjna; – პორტუგალია: sociedade anónima; – რუმინეთი: societate pe acțiuni; – სლოვენია delniška družba; – სლოვაკეთი: akciová spoločnosť; – ფინეთი: julkinen osakeyhtiö/publikt aktiebolag; – შვედეთი: aktiebolag;					
--	--	--	--	--	--	--

	– გაერთიანებული სამეფო: public company limited by shares, public company limited by guarantee and having a share capital.					
დანართი II	ნაწილი A გაუქმებული დირექტივა მოგვიანებით შესული შესწორებებით (მითითებულია 48-ე მუხლში) საბჭოს დირექტივა 77/91/EEC (ოფიციალური ჟურნალი L 26, 31.1.1977, გვ. 1) 1979 წლის მიერთების აქტის დანართი I, პუნქტი III (C) (ოფიციალური ჟურნალი L 291, 19.11.1979, გვ. 89) 1985 წლის მიერთების აქტის დანართი I (ოფიციალური ჟურნალი L 302, 15.11.1985, გვ. 157) საბჭოს დირექტივა 92/101/EEC (ოფიციალური ჟურნალი L 347, 28.11.1992, გვ. 64) 1994 წლის მიერთების აქტის დანართი I, პუნქტი XI (A) (ოფიციალური ჟურნალი C 241, 29.8.1994, გვ. 194) 2003 წლის მიერთების აქტის დანართი II, პუნქტი 4 (A) (ოფიციალური ჟურნალი L 236, 23.9.2003, გვ. 338) ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივა 2006/68/EC (ოფიციალური ჟურნალი L 264, 25.9.2006, გვ. 32) საბჭოს დირექტივა 2006/99/EC დანართის მხოლოდ A(2) პუნქტი (ოფიციალური ჟურნალი L 363, 20.12.2006, გვ. 137) ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივა 2009/109/EC მხოლოდ 1-ლი მუხლი (ოფიციალური ჟურნალი L 259, 2.10.2009, გვ. 14) ნაწილი B შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში ტრანსპოზიციის ვადები და გამოყენება (მითითებულია 48-ე მუხლში)			ას	წინამდებარე დანართი რელევანტურია მხოლოდ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისთვის.	

	<table><tr><th>დირექტივა</th><th>ეროვნულ კანონმდებლობაში ტრანსპოზიციის ვადები</th><th>მიმართვის თარიღი</th></tr><tr><td>77/91/EEC</td><td>1978 წლის 17 დეკემბერი</td><td>—</td></tr><tr><td>92/101/EEC</td><td>1993 წლის 31 დეკემბერი</td><td>1995 წლის 1 იანვარი</td></tr><tr><td>2006/68/EC</td><td>2008 წლის 15 აპრილი</td><td>—</td></tr><tr><td>2006/99/EC</td><td>2007 წლის 1 იანვარი</td><td>—</td></tr><tr><td>2009/109/EC</td><td>2011 წლის 30 ივნისი</td><td>—</td></tr></table>	დირექტივა	ეროვნულ კანონმდებლობაში ტრანსპოზიციის ვადები	მიმართვის თარიღი	77/91/EEC	1978 წლის 17 დეკემბერი	—	92/101/EEC	1993 წლის 31 დეკემბერი	1995 წლის 1 იანვარი	2006/68/EC	2008 წლის 15 აპრილი	—	2006/99/EC	2007 წლის 1 იანვარი	—	2009/109/EC	2011 წლის 30 ივნისი	—					
დირექტივა	ეროვნულ კანონმდებლობაში ტრანსპოზიციის ვადები	მიმართვის თარიღი																						
77/91/EEC	1978 წლის 17 დეკემბერი	—																						
92/101/EEC	1993 წლის 31 დეკემბერი	1995 წლის 1 იანვარი																						
2006/68/EC	2008 წლის 15 აპრილი	—																						
2006/99/EC	2007 წლის 1 იანვარი	—																						
2009/109/EC	2011 წლის 30 ივნისი	—																						
დანართი III	კორელაციის ცხრილი				ას	დირექტივის 48-ე მუხლის მე-2 აბზაცის თანახმად, მითითებები გაუქმებულ დირექტივაზე განიმარტება, როგორც მითითებები წინამდებარე დირექტივაზე და იკითხება III დანართში მითითებული კორელაციის ცხრილის შესაბამისად. ამდენად, წინამდებარე დანართი რელევანტურია თავად დირექტივის ტექსტისთვის.																		
	<table><tr><th>დირექტივა 77/91/EEC</th><th>წინამდებარე დირექტივა</th></tr><tr><td>1(1)-ლი მუხლი, პირველი ქვეპუნქტი, შესავალი ნაწილი</td><td>1(1)-ლი მუხლი, პირველი ქვეპუნქტი</td></tr><tr><td>1(1)-ლი მუხლი, პირველი ქვეპუნქტი, 1-27 აბზაცები</td><td>დანართი I</td></tr><tr><td>1(1)-ლი მუხლი, მეორე ქვეპუნქტი</td><td>1(1)-ლი მუხლი, მეორე ქვეპუნქტი</td></tr><tr><td>1(2) მუხლი</td><td>1(2) მუხლი</td></tr><tr><td>მე-2 მუხლი, შესავალი ნაწილი</td><td>მე-2 მუხლი, შესავალი ნაწილი</td></tr></table>	დირექტივა 77/91/EEC	წინამდებარე დირექტივა	1(1)-ლი მუხლი, პირველი ქვეპუნქტი, შესავალი ნაწილი	1(1)-ლი მუხლი, პირველი ქვეპუნქტი	1(1)-ლი მუხლი, პირველი ქვეპუნქტი, 1-27 აბზაცები	დანართი I	1(1)-ლი მუხლი, მეორე ქვეპუნქტი	1(1)-ლი მუხლი, მეორე ქვეპუნქტი	1(2) მუხლი	1(2) მუხლი	მე-2 მუხლი, შესავალი ნაწილი	მე-2 მუხლი, შესავალი ნაწილი											
დირექტივა 77/91/EEC	წინამდებარე დირექტივა																							
1(1)-ლი მუხლი, პირველი ქვეპუნქტი, შესავალი ნაწილი	1(1)-ლი მუხლი, პირველი ქვეპუნქტი																							
1(1)-ლი მუხლი, პირველი ქვეპუნქტი, 1-27 აბზაცები	დანართი I																							
1(1)-ლი მუხლი, მეორე ქვეპუნქტი	1(1)-ლი მუხლი, მეორე ქვეპუნქტი																							
1(2) მუხლი	1(2) მუხლი																							
მე-2 მუხლი, შესავალი ნაწილი	მე-2 მუხლი, შესავალი ნაწილი																							

	მე-2 მუხლის (a) პუნქტი	მე-2 მუხლის (a) პუნქტი				
	მე-2 მუხლის (b) პუნქტი	მე-2 მუხლის (b) პუნქტი				
	მე-2 მუხლის (c) პუნქტი, პირველი აზვაცი	მე-2 მუხლის (c) პუნქტი				
	მე-2 მუხლის (c) პუნქტი, მეორე აზვაცი	მე-2 მუხლის (d) პუნქტი				
	მე-2 მუხლის (d) პუნქტი	მე-2 მუხლის (e) პუნქტი				
	მე-2 მუხლის (e) პუნქტი	მე-2 მუხლის (f) პუნქტი				
	მუხლები 3-5	მუხლები 3-5				
	მე-6(1) მუხლი, პირველი ქვეპუნქტი	მე-6(1) მუხლი				
	მე-6(1) მუხლი, მეორე ქვეპუნქტი	—				
	მე-6(2) მუხლი	—				
	მე-6(3) მუხლი	მე-6(2) მუხლი				
	მე-7 მუხლი	მე-7 მუხლი				
	მე-8(1) მუხლი	მე-8 მუხლის პირველი პუნქტი				
	მე-8(2) მუხლი	მე-8 მუხლის მეორე პუნქტი				
	მე-9(1) მუხლი	მე-9 მუხლის პირველი პუნქტი				
	მე-9(2) მუხლი	მე-9 მუხლის მეორე პუნქტი				
	მე-10 მუხლი	მე-10 მუხლი				
	მე-10a(1) მუხლის პირველი ქვეპუნქტი	მე-11(1) მუხლი, პირველი ქვეპუნქტი				

	მე-11(1) მუხლი, მეორე ქვეპუნქტი	მე-13(1) მუხლი, მესამე ქვეპუნქტი				
	მე-11(2) მუხლი	მე-13(2) მუხლი				
	მე-12 მუხლი	მე-14 მუხლი				
	მე-13 მუხლი	მე-15 მუხლი				
	მე-14 მუხლი	მე-16 მუხლი				
	მე-15(1) მუხლის (ა) პუნქტი	მე-17(1) მუხლი				
	მე-15(1) მუხლის (ბ) პუნქტი	მე-17(2) მუხლი				
	მე-15(1) მუხლის (ც) პუნქტი	მე-17(3) მუხლი				
	მე-15(1) მუხლის (დ) პუნქტი	მე-17(4) მუხლი				
	მე-15(2) მუხლი	მე-17(5) მუხლი				
	მე-15(3) მუხლი	მე-17(6) მუხლი				
	მე-15(4) მუხლი, პირველი ქვეპუნქტი	მე-17(7) მუხლი, პირველი ქვეპუნქტი				
	მე-15(4) მუხლის მეორე ქვეპუნქტის პირველი აბზაცი	მე-17(7) მუხლის მეორე ქვეპუნქტის (ა) პუნქტი				
	მე-15(4) მუხლის მეორე ქვეპუნქტის მეორე აბზაცი	მე-17(7), მეორე ქვეპუნქტის (ბ) პუნქტი				
	მე-15(4) მუხლი, მესამე ქვეპუნქტი	მე-17(7) მუხლი, მესამე ქვეპუნქტი				
	მე-16 მუხლი	მე-18 მუხლი				
	მე-17 მუხლი	მე-19 მუხლი				
	მე-18 მუხლი	მე-20 მუხლი				

მე-19(1) მუხლი, პირველი ქვეპუნქტი	21(1)-ე მუხლი, პირველი ქვეპუნქტი					
მე-19(1) მუხლის მეორე ქვეპუნქტის (i)-(v) პუნქტები	21(1)-ე მუხლის მეორე ქვეპუნქტი (a)-(e) პუნქტები					
მუხლი 19(2) და (3)	მუხლი 21(2) და (3)					
მე-20 მუხლი	22-ე მუხლი					
21-ე მუხლი	23-ე მუხლი					
22-ე მუხლი	24-ე მუხლი					
23(1)-ე მუხლი, პირველი ქვეპუნქტი	25(1)-ე მუხლი					
23(1)-ე მუხლის მეორე ქვეპუნქტის პირველი წინადადება	25(2)-ე მუხლი, პირველი ქვეპუნქტი					
23(1)-ე მუხლის მეორე ქვეპუნქტის მეორე წინადადება	25(2)-ე მუხლი, მეორე ქვეპუნქტი					
23(1)-ე მუხლის მესამე ქვეპუნქტის პირველი წინადადება	25(3)-ე მუხლი, პირველი ქვეპუნქტი					
23(1)-ე მუხლის მესამე ქვეპუნქტის მეორე წინადადების პირველი ნაწილი	25(3)-ე მუხლის მეორე ქვეპუნქტის შესავალი ნაწილი					
23(1)-ე მუხლის მესამე ქვეპუნქტის მეორე	25(3)-ე მუხლის მეორე ქვეპუნქტის (a)-(e) პუნქტები					

	წინადადების მეორე ნაწილი					
	23(1)-ე მუხლის მესამე ქვეპუნქტი მესამე წინადადება	25(3) მუხლი, მესამე ქვეპუნქტი				
	23(1)-ე მუხლის მეოთხე ქვეპუნქტის პირველი წინადადება	25(4)-ე მუხლი, პირველი ქვეპუნქტი				
	23(1)-ე მუხლის მეოთხე ქვეპუნქტის მეორე წინადადება	25(4)-ე მუხლი, მეორე ქვეპუნქტი				
	23(1)-ე მუხლი, მეხუთე ქვეპუნქტი	25(5)-ე მუხლი				
	23(2)-ე მუხლის პირველი წინადადება	25(6)-ე მუხლი, პირველი ქვეპუნქტი				
	23(2)-ე მუხლის მეორე წინადადება	25(6)-ე მუხლი, მეორე ქვეპუნქტი				
	23(3)-ე მუხლი	25(7)-ე მუხლი				
	23a-ე მუხლი	26-ე მუხლი				
	24-ე მუხლი	27-ე მუხლი				
	24a(1)-ე მუხლის (a) პუნქტი	28(1)-ე მუხლი, პირველი ქვეპუნქტი				
	24a(1)-ე მუხლის (b) პუნქტი	28(1)-ე მუხლი, მეორე ქვეპუნქტი				
	24a(2)-ე მუხლი	28(1)-ე მუხლი, მესამე ქვეპუნქტი				
	24a(3)-ე მუხლი	28(2)-ე მუხლი				

24a(4)-ე მუხლის (a) პუნქტი	28(3)-ე მუხლი				
24a(4)-ე მუხლის (b) პუნქტი	28(4)-ე მუხლი				
24a(5)-ე მუხლი	28(5)-ე მუხლი				
24a(6)-ე მუხლი	28(6)-ე მუხლი				
25-ე მუხლი	29-ე მუხლი				
26-ე მუხლი	30-ე მუხლი				
27-ე მუხლი	31-ე მუხლი				
28-ე მუხლი	32-ე მუხლი				
29-ე მუხლი	33-ე მუხლი				
30-ე მუხლი	34-ე მუხლი				
31-ე მუხლი	35-ე მუხლი				
32-ე მუხლი	36-ე მუხლი				
33-ე მუხლი	37-ე მუხლი				
34-ე მუხლის პირველი წინადადება	38-ე მუხლის პირველი პუნქტი				
34-ე მუხლის მეორე წინადადება	38-ე მუხლის მეორე პუნქტი				
35-ე მუხლი	39-ე მუხლი				
36-ე მუხლი	40-ე მუხლი				
37-ე მუხლი	41-ე მუხლი				
38-ე მუხლი	42-ე მუხლი				
39-ე მუხლი	43-ე მუხლი				
40(1)-ე მუხლი	44-ე მუხლის პირველი პუნქტი				

	40(2)-ე მუხლი	44-ე მუხლის მეორე პუნქტი					
	41-ე მუხლი	45-ე მუხლი					
	42-ე მუხლი	46-ე მუხლი					
	43(1)-ე მუხლი	—					
	43(2)-ე მუხლი, პირველი ქვეპუნქტი	47(1)-ე მუხლი					
	43(2)-ე მუხლის მეორე და მესამე ქვეპუნქტები	—					
	43(3)-ე მუხლი	47(2)-ე მუხლი					
	—	48-ე მუხლი					
	—	49-ე მუხლი					
	44-ე მუხლი	50-ე მუხლი					
	—	დანართი II					
	—	დანართი III					